1.სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატურის სამსახური. ასევე დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო სისტემით, რაც შესაძლებლობას იძლევა დროულად მოხდეს საფრთხის შემცველი ქმედებაზე რეაგირება. სკოლას ასევე ჰყავს 2 დარაჯი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობის დაცვას. კანონიერ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, საგაკვეთილო პროცესის დასრულებამდე მოსწავლეებს ეკრძალებათ სკოლის დატოვება. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, კონკურსის წესით შერჩეული ჰყავთ ექთანი, სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. **სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც არ იყო შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და არ იყო სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული. არგუმენტირებულ დასაბუთებასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო მართვის გეგმა.** სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა, სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ავტომატური სახანძრო საგანგაშო სისტემა, რომელიც მოიცავს:

1) კვამლის დეტექტორებს (აღმომჩენებს)
2) კომბინირებულ დეტექტორებს (აღმომჩენებს)
3) საგანგაშო ხელის ღილაკებს
4) საგანგაშო ხმოვან სირენებს
5) სამართავ მართვის პანელს

სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, დასკვნის თანახმად შენობის ტექნიკური მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი და მისი ექსპლუატაცია არ არის საფრთხის შემცველელი, თუმცა შეუსაბამოა სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებთან. **სკოლას ჰყავს**

**სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, მაგრამ არ აქვს მიღებული აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ხარვეზის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 2024 წლის 25 ოქტომბერი. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც მეტწილი.**

2. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მანდატურები. დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. კონტროლდება უცხო პირების სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილება ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალის საშუალებით.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3.სკოლა მის ხელთ არსებული შესაძლებლობების შესაბამისად ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას, სკოლა აღნიშნული მიმართულებით აქტიურად თანამშრომლობს სსიპ -საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან, რომელთა თანამშრომლობითაც სკოლა ცდილობს პრევენციული ზომების მიღებას. სკოლაში ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მართავს საინფორმაციო შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს სასკოლო სივრცეში ძალადობის საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ცნობიერების ზრდას. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭოც, რომელიც სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობითშ ეიმუშავებს ქმედით ნაბიჯებს და მონიტორინგს უწევს სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სკოლაში ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. შემუშავებული და ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, რომელის დაცვაზე კონტროლს ახორციელებს სკოლის ექთანი. სკოლას ჰყავს სამი დამლაგებელი, მოწესრიგებული აქვთ სველი წერტილები. სკოლას აქვს შეძენილი სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები და ახორცილებს მის მიზნობრივ და რაციონალურ გამოყენებას. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5.სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სადაც განსაზღვრული არიან პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეების შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. სკოლაში დასაქმებულებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში ერთი მუხლი ეთმობა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების, გამოყენებისა და გავრცელების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. დირექტორის განცხადებით, სკოლაში უზრუნველყოფილია ინფორმაციის დაცულობა, არ ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის სხვა პირთან გაზიარება; თითოეულ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური წვდომა ელექტრონულ ჟურნალზე; საგნის პედაგოგები თუ დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას თუ ქცევასთან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჰ. ჰოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

არსებულ პრობლემებს მოსწავლის მშობლებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერს/კომპიუტერულ მოწყობილობას გააჩნია ანტივირუსული პროგრამა/დამცავი ბარიერი. სკოლაში გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია; მუდმივად ხორციელდება პროგრამული უზრუნველყოფის განახლება; სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

7. სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე აქტიურად განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, იღებენ შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენენ სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება

ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი პირი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი

მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება

სახანძრო სისტემების პროექტი

საგანგებო შტაბის შექმნის ბრძანება

საგანგებო მართვის გეგმის შეთანხმება

საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☐შეესაბამება
**☐მეტწილადშეესაბამება**
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

**3.5.მატერიალურირესურსებიდაინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლისმატერიალურირესურსიდაინფრასტრუქტურაგამოიყენებადაწესებულებისმისიითგანსაზღვრულიმიზნებისმისაღწევადდაშეესაბამებაარსებულდა/ანდაგეგმილმოსწავლეთარაოდენობას**

1. სკოლაუზრუნველყოფსსაგანმანთლებლოსაქმიანობისთვისშესაბამისინფრასტრუქტურასადამატერიალურრესურსსმინიმუმავტორიზაციისვადითადადადგენილიმოსწავლეთაადგილებისზღვრულირაოდენობისგათვალისწინებით;
2. დაწესებულებისინფრასტრუქტურა, მათშორისსაერთოსარგებლობისსივრცეებიდამატერიალურირესურსიხელმისაწვდომიასასკოლოსაზოგადოებისწევრებისთვის;
3. სკოლისინფრასტრუქტურაქმნისსწავლისინკლუზიურგარემოს;
4. სკოლისინფრასტრუქტურაემსახურებასკოლისსოციო-კულტურულსივრცედჩამოყალიბებას;
5. სკოლასგააჩნიაკურიკულუმითგანსაზღვრულისაჭირორესურსები (მცირეკონტიგენტიანისკოლა/პროგრამისგანხორციელებისადგილიუფლებამოსილიაუზრუნველყოსსაჭირორესურსებზეწვდომა). *ამდოკუმენტისმიზნებისათვისმცირეკონტინგენტიანისკოლაარისდაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებისავტორიზაციისსაბჭოსგადაწყვეტილებითგანსაზღვრულიმოსწავლეთაადგილებისზღვრულიოდენობა/მოთხოვნილიზღვრულიოდენობაკონკრეტულლოკაციაზეგანესაზღვრება 169 ანნაკლებიმოსწავლით.*

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლას გააჩნია შესაბამისი მატერიალური ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობას. საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე დასტურდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერით. მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე სკოლა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მუშაობს ორ ცვლაში, რაც ხელს უწყობს სკოლის მიერ რესურსების რაციონალურად გამოყენებას. სკოლაში არის საკლასო ოთახები, შიდა და გარე სპორტული დარბაზები, რესურსოთახი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, ისტ-ის კაბინეტი. სკოლას გააჩნია საჭირო რაოდენობის სასკოლო ინვენტარი: მოსწავლის მერხი და სკამი, დაფა, კომპიუტერული ტექნიკა. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და გამწოვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლის ინფრასტრუქტურა და რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. კომპიუტერი და პრინტერები განთავსებულია სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ოთახში.სკოლას აქვს შიდა და გარე სპორტული დარბაზები, სკოლას გააჩნია მხატვრული წიგნადი ფონდი და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი, რომელიც განთავსებულია ბიბლიოთეკაში, სადაც არსებობს სამკითხველო დარბაზი. სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობა ხელმისაწვდომი და შეუზღუდავია სკოლის მოსწავლეებისა და თანამშრომელთათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. სკოლას ჰყავს 18 სსსმ მოსწავლე, რომელთა საჭიროებების შესაბამისად, სასკოლო სივრცეში წარმოდგენილია რესურსოთახი. სკოლას გააჩნია მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული და ადაპტირებული სველი წერტილები, პირველ სართულზე არის ლიფტი, თუმცა შენობის მეორე სართულზე არ არის მოწყობილი პანდუსები. დაწესებულებამ განმარტა, რომ მსგავსი საჭიროების მქონე მოსწავლეები ამ ეტაპზე არ ჰყავს, მაგრამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული მიმართულებით მოწესრიგდეს და განახლდეს ინფრასტრუქტურა. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც სკოლის ლიფტით ან პანდუსით უზრუნველყოფის თარიღად მიუთითა 2024 წლის 13 ნოემბერი. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც მეტწილი.**

4. სკოლას აქვს შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოება უზრუნველყოს შეხვედრების ან ღონისძიებებისთვის საჭირო ინვენტარითა და ფართის გამოყოფით, მათ შორის, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით. სკოლას აქვს შიდა სპორტული დარბაზი, რომელშიც ტარდება სპორტული ღონისძიებები მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობით, ასევე, აქვს ეზოში ღია სპორტული მოედანი, ფართო სარეკრეაციო სივრცე, რაც ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის ინფრასტრუქტრა ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაცავსტრიის საელჩოს მიერ მოწყობილია ავსტრიული მხარის კუთხე. საელჩო უზრუნველყოფს კუთხის გერმანულენოვანი მხატვრული ლიტერატურით მომარაგებას და საქართველოს მასშტაბით ერთობლივი პროექტების განხორციელებას.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5.სკოლა საგნობრივი კურიკულუმების განსახორციელებლად იყენებს როგორც საგნობრივ სახელმძღვანელოებს, ასევე დამატებით სხვა საგანმანათლებლო რესურსებს: კომპიუტერებს, პროექტორებს, საჭადრაკო დაფებს, რუკებს, რომლებიც ადგილზე დათვალიერების დროსაც იქნა წარმოდგენილი. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები. სკოლაში მოწყობილია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია კომპიუტერები, პრინტერი, პროექტორი და ლეპტოპები. საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმების განხორციელებისთვის სკოლას აქვს ბიოლოგიის, ქიმიის და ფიზიკის კაბინეტები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, შემუშავებულია წიგნის მოვლის წესი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები, თუმცა ყველა სახელმძღვანელოს არ აქვს წესის შესაბამისად მინიჭებული საინვენტარო ნიშანი და ინდექსი, არ არის გატარებული და დამუშავებული ჟურნალში წესების დაცვით, ასევე არ არის დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
შენობის აზომვითი ნახაზი;
სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს
დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☐შეესაბამება
**☐მეტწილადშეესაბამება**
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოლონაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**3.6. საინფორმაციორესურსები**

**3.6.1. სკოლისინფორმაციულიტექნოლოგიებისინფრასტრუქტურახელსუწყობსმისიძირითადისაქმიანობისგანხორციელებას**

1. ინფორმაციულიტექნოლოგიებისინფრასტრუქტურაუზრუნველყოფსადმინისტრაციულიდასასწავლოპროცესისსრულფასოვანწარმართვას;
2. ინფორმაციულიტექნოლოგიებისინფრასტრუქტურახელმისაწვდომიამოსწავლეებისადაპერსონალისათვისსკოლისმიერდადგენილიწესისშესაბამისად.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1.სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არის გამართული და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას. სკოლას აქვს პროექტორები, ინტერნეტი,32 კომპიუტერი და 16 ლეპტოპი. სკოლა აქტიურად იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
2. ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. მათ საშუალება აქვთ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ასევე სამასწავლებლოსა და ბიბლიოთეკაში ისარგებლონ სასკოლო რესურსებით. როგორც საგაკვეთილო ასევე არასაგაკვეთილო პროცესში. **სკოლას მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი შემუშავებული არ ჰქონდა, მაგრამ არგუმენტირებულ დასაბუთებასთან ერთად წარმოადგინა დირექტორის მიერ დამტკიცებული მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც შეუსაბამო, შეფასდა როგორც შესაბამისი.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

*ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი*

მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლოზაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**3.6.2სკოლაშისაქმისწარმოებამიმდინარეობსმოქმედიკანონმდებლობისშესაბამისად**

1. სკოლაშიმოქმედებსკანონმდებლობისშესაბამისისაქმისწარმოებისწესი;
2. სკოლისმართვაშიგამოიყენებათანამედროვეტექნოლოგიები, მათშორისდოკუმენტბრუნვისელექტრონულისისტემა;
3. სკოლასაქვსსრულყოფილიპროფილიზოგადიგანათლებისმართვისსაინფორმაციოსისტემაში;
4. სკოლადროულადაწვდისანგარიშებს, უკუკავშირსადაინფორმაციასსაგანმანათლებლოსაქმიანობისმარეგულირებელუწყებებსდათანამშრომლობსმათთან.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, სკოლის დირექტორის განცხადებით სკოლაში საქმისწარმოება ხდება ელექტრონულად eflow სისტემით, Eschool ელექტრონულ ბაზაში შეტანილია სკოლის ყველა მასწავლებლისა და მოსწავლის პერსონალური მონაცემები. ასევე სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ინფორმაციის მიღება და შემოსულ წერილებზე პასუხის დაბრუნება. შესაბამისად, აღნიშნული **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. სკოლაში შემოსული წერილები იტვირთება და რეგისტრირდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის (eFLow) მეშვეობით. საქმისმწარმოებლის მიერ ხორციელდება ყველა სახის დოკუმენტის მომზადება და გაშვება შესაბამის მისამართზე. დაცულია ყველა სახის დოკუმენტის მომზადებისა და გაცემის წესი. მათ შორის, ბრძანებების, წერილების, ოქმების, ხელშეკრულებებისა და სხვ . ასევე, სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, რომლითაც სკოლა ასევე ახორციელებს წერილების მიღებასა და გაგზავნას. სკოლა იყენებს email.mes.go.ge პლატფორმაზე განთავსებულ Microsoft 365-ის ლიცენზირებულ აპლიკაციებს: Teams, Onedrive, Forms სკოლის ოფიციალური საფოსტო მისამართის ლოგინით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, რაც დასტურდება კანონის შესაბამისად მიწოდებულ ინფორმაციის მართებულობით, რომელიც წარმოდგენილია ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მოძიებული და განთავსებული ინფორმაციით. შესაბამისად, აღნიშნული **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა დროულად იღებს და გასცემს ინფორმაციებს, აქვს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

განმახორციელებელ უწყებასთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმა და დროულად აგზავნის ამ უწყებებთან ანგარიშებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

საქმისწარმოების წესი

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

**3.6.3. სკოლამიზნობრივადწარმართავსსაზოგადოებასთანურთიერთობას**

1. სკოლაახორციელებსსაზოგადოებისინფორმირებასდაკომუნიკაციასოფიციალურივებგვერდისა/ვებგვერდზეშესაბამისიგვერდისა დასხვასაკომუნიკაციოარხებისსაშუალებით;
2. სკოლაუზრუნველყოფსმისისაქმიანობის, მათშორისმისმიერგანხორციელებულისაგანმანათლებლოპროგრამებისშესახებმხოლოდსანდოდაუტყუარიინფორმაციისგავრცელებას;
3. საზოგადოებასთანკომუნიკაციისპროცესშისხვადასხვაარხითმიღებულუკუკავშირსსკოლაიყენებსსაკუთარისაქმიანობისხარისხისგასაუმჯობესებლად;
4. სკოლასაქვსმოქმედივებგვერდი/ვებგვერდზეშესაბამისიგვერდი, რომელზეცგანთავსებულიაინფორმაციაქართულენაზე, ასევეიმენაზე, რომელზეცახორციელებსსწავლებას;
5. ვებგვერდი/ვებგვერდისშესაბამისიგვერდიშეიცავსშემდეგინფორმაციასსკოლისშესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა,პროგრამ(ებ)ისსახელწოდებები, ამპროგრამებზეჩარიცხვისპროცედურებიდამისანიჭებელიკვალიფიკაცია (განათლებისდამადასტურებელიდოკუმენტი), სასწავლოპროცესთანდაკავშირებულიაუცილებელიმოთხოვნები, მოსწავლეთამხარდაჭერისსერვისები, გასაჩივრებისმექანიზმები, ფინანსურიმდგრადობისშესახებანგარიში, სტრატეგიულიდასამოქმედოგეგმებისშესრულებისშედეგებიდასაკონტაქტოინფორმაცია.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ახორციელებს ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით. დირექტორის განცხადებით, სკოლა მშობლებთან და საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებენ აგრეთვე facebook გვერდს, მესენჯერს, თიმსის პლატფორმასა და ელექტრონულ ჟურნალს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლა უზრუნველყოფს განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გა*ვრცელებას*და ამისთვის იყენებს ვებგვერდს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს ძირითადად დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექტორთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის მიერ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია ოფიციალური გვერდებიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. დაწესებულების დირექტორის განცხადებით, დაწესებულება სხვადასხვა არხიდან მიღებულ უკუკავშირს, მათ შორის სკოლის facebook გვერდზე,თიმსის პლატფორმაზე, ელექტრონულ ჟურნალში მოცემულ ინფორმაციას იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლა გეგმავს ელექტრონული რეიტინგული გამოკითხვების, მოწონებების, გაზიარების ან სხვა აქტივობების სტატისტიკის ანალიზის პრაქტიკის დანერგვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, სადაც შესაბამის გვერდზე ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სკოლის ინფრასტრუქტურის, გასაჩივრების დეტალური პროცედურები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ინფორმაცია და 2023 წლის სკოლის ბიუჯეტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

სკოლის ვებ გვერდი

სოციალური ქსელები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☐**შეესაბამება**

☐მეტწილადშეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოყაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

### 3.7. ფინანსურირესურსები

### 3.7.1. სკოლაფინანსურადმდგრადია

1. სკოლისფინანსურირესურსითუზრუნველყოფილიასამოქმედოგეგმისგანხორციელება;
2. სკოლასაქვსფინასურირესურსებისმართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგისდაა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლას აქვს დამტკიცებული ბიუჯეტი, სადაც გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები დახარჯები. ბიუჯეტი ძირითადად შედგება ვაუჩერული დაფინანსებისგან. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარის, რესურსების შეძენასა და კომუნალურ გადასახადებზე. სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ხმარდება ყველა იმ საჭირო საქონელსა და მომსახურებას, რომლებიც სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, აუცილებელია სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და ნორმალურად წარმართვისათვის.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2.სკოლის ბიუჯეტზე დაყრდნობით სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმას. როგორც სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა,სახელმწიფოშესყიდვებისდაგეგმვისეტაპზეხორციელდება ინფორმაციის მოძიება საჭიროებების შესახებ. საჭიროებების დადგენას ძირითადად ახდენს სკოლისდირექტორიდაბუღალტერი. საჭიროებისა და მოცულობების კვლევის შედეგად ხდება შესყიდვების გეგმის ფორმირება.სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა, კერძოდ, ყოველიწლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

*2023 წლის ბიუჯეტი*

*2023 წლის შესყიდვების გეგმა*

*დირექტორის ანგარიში*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☐**შეესაბამება**
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

## 4. მოსწავლეთამხარდაჭერა

**4.1 მოსწავლეთაუფლებებისდაცვა**
**4.1.1. მოსწავლეთაუფლებებიდაკანონიერიინტერესებიდაცულია**

1. სკოლისშიდარეგულაციებითხორციელდებამოსწავლისკანონითგათვალისწინებულიუფლებებისდაცვისადაგარანტიებისუზრუნველყოფა;
2. მოსწავლისკანონითგათვალისწინებულიუფლებებისდაცვისსასკოლორეგულაციებიგამჭვირვალეადაგაზიარებულიასასკოლოსაზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მისკანონიერწარმომადგენელთანგაფორმებულიაკანონმდებლობისშესაბამისიგამჭვირვალედამკაფიოხელშეკრულება.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოყაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1.სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ მოსწავლის უფლებები კანონით არის დაცული, მათ აქვთგასაჩივრების უფლება, მონაწილეობენ სკოლის მართვაში, შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა დისციპლინური დევნის თავისებურებები და დისციპლინური სახდელები, მოსწავლეებსა და მშობლებს ამის შესახებ მიეწოდებათ ინფორმაცია დამრიგებლების საშუალებით, გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე. აღნიშნულს ადასტურებს მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან დადებული ხელშეკრულებები, ასევე შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რაც მიუთითებს, რომ მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები არის დაცული. სკოლა უქმნის ყველა მოსწავლეს პირობებს, რომ მათი უფლებები იყოს დაცული, განსხვავებული შესაძლებლობებისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მასწავლებლები მუშაობენ ინდივიდუალურიგეგმებით და უზრუნველყოფენ მათ უფლებებს მიიღონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლება.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები მოსწავლის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის შესახებ გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან, კერძოდ შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის საჯარო სივრცეში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას, მოსწავლის გადმოყვანისა ან პირველ კლასში შესვლის შემთხვევაში ადმინისტრაცია მშობლებს და მოსწავლეებს აცნობს შინაგანაწესს, სადაც განსაზღვრულია მხარეთა უფლება-მოვალეობები. ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე, ელ. ფოსტის საშუალებით, კლასის საათის ფარგლებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები. ასევე, ხელშეკრულებაში ასახულია ინფორმაცია მოსწავლის პერსონალურ მონაცემთა გამოყენების შესახებ, სასწავლო და დასვენების, უქმე დღეების შესახებ, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავის გადაწყვეტა, მხარეთა რეკვიზიტები და დამატებითი პირობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება

გასაჩივრების დეტალური პროცედურები

შინაგანაწესი

ინდ. სასწავლო გეგმები

მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

**4.1.2. სკოლაშიფუნქციონირებსმოსწავლეთაჩარიცხვის, საფეხურისდაძლევის, მობილობის, სტატუსისშეჩერებისადაშეწყვეტისგამჭვირვალედამკაფიომექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლაიცავსმოსწავლისჩარიცხვისადასაფეხურისდაძლევის, მობილობის, სტატუსისშეჩერებისადაშეწყვეტისმექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობისშემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციასაჯაროდაახელმისაწვდომი;
4. სკოლისანმისიპერსონალისმიერგავრცელებულიინფორმაციაპროგრამების,სერვისების, აქტივობების, რესურსებისშესახებარისკანონმდებლობისშესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებულიდაარადისკრიმინაციული.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1.სკოლა მოსწავლეთა ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნდა 2012 წლის 19 სექტემბრის 193/ნ ბრძანებების შესაბამისად, რაც ასახულია სკოლის დირექტორის ბრძანებაში ,,სსიპ ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან - კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი“. კერძოდ, სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. დოკუმენტში გაწერილია პირველკლასელთა რეგისტრაციის ეტაპები, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები. ბრძანებაში ასევე არის გაწერილი სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის აღდგენისა და მობილობის წესები. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების თუ შეწყვეტის საკითხებთან დაკავშირებით სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი წესებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2.სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესს ახორციელებს კანონის შესაბამისად, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით. სკოლა მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით, აღნიშნული დასტურდება ემისის ბაზის შემოწმების შედეგად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
3. სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია გაზიარებულია სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდზე, სადაც მშობლებს შეუძლიათ გაიგონ სიახლეები, გააკეთონ კომენტარები და გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია გამოკრულია შენობაში თვალსაჩინო ადგილას, რაც უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას მათი პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
4. სკოლა აქტიურად მუშაობს ფეისბუქ გვერდზე და ავრცელებს სიახლეებსა და მიმდინარე ღონისძიებებს, მშობლებთან ურთიერთობს ასევე დამრიგებლების მეშვეობით, ინფორმაციის გავრცელების წყაროდ ასევე გამოყენებულია საინფორმაციო დაფა, გავრცელებული ინფორმაციები კი არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული, რასაც ადასტურებს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტები, ფოტოები, ვიდეოები, სადაც იკვეთება, რომ სკოლა ყველა მოსწავლისთვის ხდის მისაწვდომს არსებულ პროგრამებს, სერვისებს, აქტივობებსა და რესურსებს. სკოლა მოსწავლეების მონაწილეობით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებამდე მშობლებისგან იღებს წერილობით ნებართვას, ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და პერსონალური მონაცემების დაცვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან - კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების,

მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების

საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის

დაძლევისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი

სკოლის სოციალური გვერდი

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჰ. ჰოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☐შესაბამება
☐მეტწილადშესაბამება
☐ნაწილობრივშესაბამება
☐არშესაბამება

**4.2. მოსწავლეთამხარდაჭერისღონისძიებები**

**4.2.1.სკოლაშიფუნქციონირებსმოსწავლეთააკადემიურიდაადმინისტრაციულიმხარდაჭერისმომსახურება**

1. სკოლასაქვსმოსწავლისსასწავლოგარემოსთანადაპტაციისხელშემწყობიმექანიზმი;
2. სკოლასწავლისდაწყებისმომენტიდანხელსუწყობსმოსწავლეთაადაპტაციასსასწავლოგარემოსთან;
3. მოსწავლესკოლისგანიღებსსათანადოკონსულტაციასადამხარდაჭერასაკადემიურიმიღწევებისგასაუმჯობესებლად;
4. სკოლამოსწავლესგონივრულ/კანონმდებლობითდადგენილვადებშიუწევსადმინისტრაციულმხარდაჭერასკანონმდებლობით გათვალისწინებულიუფლებებისრეალიზებასთანდაკავშირებით;
5. სკოლაკანონმდებლობითდადგენილიწესითდასათანადოკვალიფიკაციისმქონეპერსონალისმეშვეობითუზრუნველყოფსდამატებითი/არაფორმალურიაქტივობებისწახალისებასადამოსწავლეთაინიციატივებისმხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულმხარეთაუკუკავშირისსაფუძველზესკოლააუმჯობესებსმოსწავლეთამომსახურებას.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1.სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, სადაც გათვალისწინებულია როგორც პირველკლასელთა ადაპტაციისათვის განსაზღვრული ღონისძიებები, ასევე სხვა სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეთა ადაპტაცია. ასევე შემუშავებულია რეკომენდაციები მშობლებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს მათი შვილების სკოლასთან ადაპტაციას. სკოლას პირველკლასელთა მიღებისას ატარებს გარკვეული სახის ღონისძიებებს, კერძოდ, სასწავლო წლის დაწყებმდე კლასის დამრიგებელი ხვდება მშობლებს, აცნობს მათ სკოლის სპეციფიკაა და მიღება ხდება საზეიმო ვითარებაში. მოსწავლეს ექმნება ყველანაირი პირობა, რათა მისთვის სტრესული არ აღმოჩნდეს ახალ გარემოში ყოფნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ხ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ, უზრუნველყოფს ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (სააქტო დარბაზის, ლაბორატორიების, კაბინეტების, ეზოს და სხვა ტერიტორიების გაცნობას), სასწავლო წლის დაწყებისას პირველ დღეს ტარდება განსხვავებული ფორმატით. სკოლის ეზოში ეწყობა საზეიმო დახვედრა. აღნიშნული ღონისძიების/აქტივობის მიზანია სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით მოსწავლეების უკეთ გაცნობა და დაახლოება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

3. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეები სკოლისაგან იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები კომპლექსური დავალებებითა და სასწავლო პროექტებით, დამატებითი მეცადინეობებით ცდილობენ მოსწავლეებს გაუწიონ სათანადო დახმარება აკადემიური შედეგების გასაუმჯობესებლად. კათედრები მუდმივად აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს და გეგმავენ შესაბამის ინტერვენციებს საუკეთესო შედეგების მისაღწევად, სკოლაში მოქმედი ხარისხის მართვის ჯგუფი ხელს უწყობს დირექციასთან ერთად მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. ინდიკატორი შეესაბამება მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

4. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია, რომ თუ მოსწავლე თვლის, რომ უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის, მას უფლება აქვს სემესტრული გამოცდის საფუძველზე აიმაღლოს სემესტრული შეფასება, თუმცა ამგვარი გამოცდა სკოლაში არ ჩატარებულა. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სწავლაში სირთულეების მქონე მოსწავლეებს, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ დამატებითი დავალებები და უტარდებათ დამატებითი მეცადინეობებიც ინდივიდუალურად. ასევე, მასწავლებლები მოსწავლეებს კონსულტაციებს უწევენ ოლიმპიადებსა და კონკურსებში მონაწილეობის წინ. შესაბამისად, დგინდება, რომ მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას - კლასის დამრიგებლების გეგმებისა და სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის გეგმის საფუძველზე წინასწარ ხდება მოსწავლეთა ინფორმირება ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ტარდება სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით. ეწყობა: მოსწავლეთა ნახატების გამოფენები, სკოლის ტერიტორიის დასუფთავების, თანადგომის აქციები, მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებული სასკოლო ღონისძიებები (შემოდგომის ზეიმი, საშობაო კარნავალი, დედის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი, სსსმ მოსწავლის ნამუშევრების გამოფენა, ანბანის, საახალწლო ზეიმები). მოსწავლეები კლასის დამრიგებელთან ერთად ახორციელებენ ვიზიტებს პროფესიულ სასწავლებელში, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ლაბორატორიებში, ქალაქ თელავის საკრებულოში, ტარდება ღია გაკვეთილები ერეკლე მეფის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სახლ-მუზეუმში, ხდება დასწრება თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლებზე, ტარდება ერთობლივი გაკვეთილები ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებთან პანკისის ხეობის დუისის საჯარო სკოლასთან. სკოლაში არის სასპორტო კლუბი „თელავი მეცხრე“, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სპორტის პოპულარიზაციას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს ავსტრიული ბიბლიოთეკის კუთხე, რომელსაც კურირებს ავსტრიის საელჩო და მათთან ერთად იგეგმება აქტივობები, ბიბლიოთეკა მარაგდება გერმანულენოვანი წიგნებით, რითიც მოსწავლეები აქტიურად სარგებლობენ. მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამაგერმანიის იენის უნივერსიტეტში, ქალაქ ბიბერახის სასწავლო დაწესებულებებში, ასევე ავსტრიის ქალაქ გრაცის სკოლებში მოტივაციას უზრდის მოსწავლეებს გერმანული ენის საფუძვლიანი სწავლებისა და მომავლის სწორად დაგეგმვაში. აქტივობების ამსახველი მასალები განთავსებულია სკოლის გვერდზე, სოციალურ ქსელში.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

6. სადამრიგებლო საათის ფარგლებში, მოსწავლეთა უკუკავშირისა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით, სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. ტარდება მშობელთა კრებები, სადაც მშობლებს აქვთ შესაძლებლობა თავად დაგეგმონ მათი შვილებისთვის საინტერესო ინიციატივები. სკოლა გეგმავს ჩაატაროს კვლევა და კიდევ მეტად გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები. ვიზიტის დროს ასევე აღინიშნა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და ინტერესების გათვალისწინებით, ფუნქციონირებს არაფორმალური კლუბები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

*მოსწავლის ადაპტაციის წესი*

*სკოლის პროექტები*

*შემაჯამებლის ანალიზები*

*სასკოლო მასალები სოციალური ქსელიდან*

*სასკოლო კვლევები*

*სასპორტო კლუბი თელავი მეცხრეს წესდება*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჰ. ჰოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**4.2.2. სკოლაშიუზრუნველყოფილიაკარიერულიდაგეგმვისადაპროფესიულიორიენტაციისმომსახურება**

1. კარიერულიდაგეგმვისადაპროფესიულიორიენტაციისმომსახურებახელმისაწვდომიამოსწავლეთათვის;
2. სკოლამუდმივადაწვდისმოსწავლეებს/მათკანონიერწარმომადგენლებსგანახლებულდასანდოინფორმაციასზოგადიგანათლებისშე საბამისისაფეხურისდასრულებისშემდგომიკარიერულიგანვითარებისშესაძლებლობებთანდაკავშირებით;
3. სკოლამომსახურებისხარისხისგაუმჯობესებისდაგეგმვისპროცესშიითვალისწინებსგაწეულიმომსახურებისშეფასებისშედეგებს.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. მოსწავლეები ხვდებიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს და მათგან იღებენ ინფორმაციებს პროფესიების შესახებ. ეს მათ ხელს უწყობს თავიანთი მომავლის სწორად დაგეგმვაში.სკოლას ხშირად სტუმრობენ უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები,რომლებიც ეხმარებიან მოსწავლეებს პროფესიის არჩევაში. სკოლას აქვს მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯ „პრესტიჟთან“, თანამშრომლობს ასევე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, სკოლას სტუმრობენ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ასევე აცნობენ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
2. სკოლა ზრუნავს, რათა მოსწავლეები და მშობლები ინფორმირებული იყვნენ შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სთავაზობს მათ ინფორმაციას პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. ინფორმაციის გავრცელების წყაროდ იყენებენ სოციალურ ქსელსა და საინფორმაციო დაფას. სკოლა სოციალურ ქსელში ავრცელებს პროფორიენტაციის კურსის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებსა და აქტივობებს, აცნობენ მოსწავლეებს საგანმანათლებლო პროგრამებს, მოთხოვნად პროფესიებსა და დასაქმების შესაძლებლობებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
3.სკოლა მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით გეგმავს განახორციელოს კარიერული განვითარების შესაძლებლობებისა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების კვლევა; სკოლა კვლევებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გეგმავს გადახედოს საკუთარ კარიერული განვითარების მომსახურების პრაქტიკას და მისი გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები: საშუალო საფეხურზე პროფესიული განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ᲜᲘᲡᲚᲨᲝᲡ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ინტეგრირებაში, პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებლებთან მემორანდუმების გაფორმებით თანამშრომლობაში.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

სასკოლო მასალები სოციალური ქსელიდან

სასკოლო კვლევები

პროექტები

**4.2.3. სსსმმოსწავლეთამომსახურებახორციელდებამათისაუკეთესოინტერესებისგათვალისწინებითდაშეესაბამებასაქართველოსკანონმდებლობას**

1. სკოლასშემუშავებულიაქვსსსსმმოსწავლესთანმუშაობისმექანიზმი;
2. სსსმმოსწავლისწინსვლისადაგანვითარებისმხარდაჭერაეფუძნებასასკოლოსაზოგადოებისჩართულობისადათანამშრომლობისპრინციპებს.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესისა და საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურებას.სკოლას აქვს რესურსოთახი, რომელიც აღწურვილია შესაბამისი ინვენტარით. მოსწავლეებს ემსახურებიან სპეციალური მასწავლებლები და ასისტენტები.მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე თითოეული სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას.ინდივიდუალური სამოქმედო გეგმების შედგენასა და განხორციელებაში ჩართულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სასკოლო საზოგადოების დიდი ნაწილი. ისგ ჯგუფის ერთობლივი მუშაობა და მიზნობრივი ინტერვენციები მიმართულია მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა

**4.2.4. სკოლისმიერშეთავაზებულიდამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობისშემთხვევაში) ხორციელდებაკანონმდებლობისმოთხოვნათადაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლისმიერშეთავაზებულიდამატებითი, არასავალდებულოხასიათისმომსახურება (გახანგრძლივებულისწავლება, კვებისსერვისი, ტრანსპორტირებისსერვისი, საერთოსაცხოვრებლითმომსახურეობადასხვა) ხორციელდებაშესაბამისიმარეგულირებლისმხრიდანსაქმიანობისგანხორციელებისუფლებისმიღებისშემდეგ/საფუძველზე (ასეთისარსებობისშემთხვევაში);
2. სკოლისმიერშეთავაზებულიდამატებითი, არასავალდებულოხასიათისმომსახურებისგაწევახორციელდებანებაყოფლობითობისპრინციპით, მართვისკოლეგიალურორგანოსადამომსახურებისმიმღებთანშეთანხმებულიწესითადაპირობებითდაემსახურებამოსწავლისგანვითარებისხელშეწყობას;
3. შესაბამისისაქმიანობისგანხორციელებისათვისკანონმდებლობითდადგენილიუფლებისმოპოვებისვალდებულებისარარსებობისშემთხვევაში, მომსახურებახორციელდებაუსაფრთხოებისზოგადადარსებულინორმებისდაცვითდაითვალისწინებსმოსწავლისსაუკეთესოინტერესებს.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე. სკოლაში ფუნქციონირებს იჯარით გაცემული ბუფეტი. იჯარის ნებართვა მიღებულია როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, ასევე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრიდან. ნებართვის მიღების შემდეგ სკოლამ მიმართა აუდიტის სამსახურს შპს „უნივერსალ აუდიტ კომპანია,“ რომელმაც შეაფასა კვების ბლოკი და შემდეგ გამოცხადდა აუქციონი, სადაც გაიმარჯვა ფიზიკურმა პირმა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**
3.სკოლაში მოიჯარის საქმიანობა და მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

*განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა იჯარაზე.*

*ქონების სააგენტოს თანხმობა.*

*აუდიტის დასკვნა.*

*იჯარის ხელშეკრულება.*

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☐**შეესაბამება**
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

## ნაწილიIV. მეორესტანდარტისაღწერადაშეფასება

## I. ავტორიზაციისმე-2 სტანდარტთანშესაბამისობისშეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომონია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ცხრილიივსებათითოეულიკურიკულუმისთვისცალ-ცალკე

| სტანდარტი 2 | **ექსპერტთაჯგუფისშეფასება**<br>*(მონიშნეთშესაბამისიუჯრასტანდარტისადაკომპონენტისშესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლოკურიკულუმი(დაწყებითი საფეხური)** | ☐**შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმისშემუშავება | ☐**შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმისგანხორციელება | ☐**შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმისმონიტორინგიდაშეფასება | ☐**შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმისგადასინჯვადარევიზია | ☐**შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოლოდნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## II. ავტორიზაციისმე-2 სტანდარტთანშესაბამისობისშეფასება

### 2. სასკოლოკურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმისშემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმისშემუშავებაშიჩართულიასასკოლოსაზოგადოება

1. კურიკულუმისშემუშავებისმეთოდოლოგიაიძლევასასკოლოსაზოგადოებისინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისადაპრიორიტეტებისგათვალისწინებისშესაძლებლობას;
2. კურიკულუმშიასახულიასასკოლოსაზოგადოებისინტერესები;
3. კურიკულუმიშემუშავებულიასასკოლოსაზოგადოებისმიერ;
4. კურიკულუმიგაზიარებულიასასკოლოსაზოგადოებისმიერ.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1.სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის დაგეგმვა მოიცავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ფაზებს. აღნიშნულ დოკუმენტში, წარმოდგენილია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის დოკუმენტით განაწილებულია მასწავლებლის, კათედრისა და დირექციის მოვალეობები. მშობლების ინფორმირების საშუალებად კი მოაზრებულია სხვადასხვა ვარიანტი, მაგალითად: კურიკულუმის სკოლის საიტზე ატვირთვა ან ელექტრონული ჟურნალი. 2022-2023 სასწავლო წელს კათედრებმა ავტორიზაციის მიმდინარეობის პერიოდში ქოუჩებთან გავლილი კონსულტაციების შედეგად შეიმუშავა კურიკულუმების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჰ. ჰოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ჩარჩოები, რომლებშიც გაიწერა მიმდინარე სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. დაწყებით საფეხურზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეთა მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები.უკვე ჩატარებულ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა სკოლის ადმინისტრაციას. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები; კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას, რომელიც ემსახურება სკოლის მისიის შესრულებას.სკოლას, დაწყებით საფეხურზე,აქვსხედვა, თუროგორააშესაძლებელიამკომპონენტისგაძლიერება. მასწავლებლებთან ინტერვიუს პოროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. მშობელთა და მოსწავლეთა მხრიდან გაკეთებული უკუკავშირებით, რეფლექსიებით გამოკვეთილი გამოწვევები და მიღწევები, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას.

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო წარმომადგენლობის ინტერესების კურიკულუმში ასახვას, დაგეგმვის პროცესში, მასწავლებელთან ერთად, ჩართულია კათედრა და დირექცია. ვიზიტის დროს, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები შემუშავდა საგნობრივკათედრებზე თანამშრომლობითა და დირექციის ჩართულობით, რამაც განაპირობა მათი ინტერესების ასახვა საგნობრივ ჩარჩო-კურიკულუმებში. მოსწავლის ინტერესები ასახვის მიზნით, სასწავლო თემების შერჩევის დროს, ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. მშობლების ინტერესების ასახვა კი, კომპლექსური დავალებისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში, მათი აქტიური მონაწილეობით გამოიხატება. ასევე, სასკოლო საზოგადოების ინტერესების თანახმად, სკოლაში წარმატებით ხორციელდება გერმანული ენის სადიპლომო პროგრამა (DSD პროგრამა). შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის გარდა, გერმანულის სწავლებას ეთმობა დამატებითი საათები. სკოლა ასევე სარგებლობს ეროვნული სასწავლო გეგმით დაშვებული ჯამური საათების 25%-იანი გადანაწილების პრინციპით, რაც ფაქტობრივად ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადის პროექტში. მასწავლებლები გამოცდილებაზე დაყრდნობით მუშაობენ კურიკულუმში შესატან ცვლილებებზე, რათა მოხდეს წინა წლის შედეგების გაუმჯობესება. სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ზარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში. ნებისმიერი მოსწავლის მშობელს შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს და დააკვირდეს, როგორ არის ჩართული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მისი შვილი სწავლა-სწავლების პროცესში საგაკვეთილო გარემოში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში, გაწერილია მასწავლებლების, კათედრებისა დადირექციის წვლილი კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ამ დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის დაგეგმვისას, ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა. კურიკულუმის შემუშავება სასკოლო საზოგადოების მიერ, კანონმდებლობითაც არის უზრუნველყოფილი. ცალკეულ კურიკულუმს, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის განუყოფელნაწილს, შეიმუშავებენ საგნობრივი კათედრები, შემდეგ, დირექციის ჩართულობით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, მას ამტკიცებს პედაგოგიურ საბჭო. აქედან გამომდინარე, კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.ვიზიტის დროს, კათედრებთან გასაუბრებისას, ასევე გამოჩნდა, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, კერძოდ, მასწავლებელთა მხრიდან. მათ შეავსეს სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოები, განსაზღვრეს ახალი სასწავლო წლისთვის დასანერგი კომპლექსური დავალებები, ცნებები, კონტექსტ- მაგალითები, რესურსები, მაგალითები შედარებისთვის. საგნის მასწავლებლის მხრიდან დაგეგმვის პროცესი ეყრდნობათვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს, მიმდინარე სასწავლო წელს კიდევ უფრო მეტად გააძლიერებენ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართვას შემუშავების პროცესში და უფრო მეტად გამოკვეთენ მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს სწავლა- სწავლების პროცესში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4. სკოლაში ახალი დაწყებულია პროცესები, რომელიც მიმართულია სასკოლო საზოგადოებისათვის კურიკულუმის გაზიარებისაკენ. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისთვის სკოლა გამოიყენებს მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს და სოციალურ ქსელებს, სკოლის ფეისბუქ გვერდს, Teams-ის პლატფორმას. გამოცდილების საფუძველზე სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან გაააქტიუროს მოსწავლეებთან დამშობლებთან სათანადოკო მუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. სკოლა ფიქრობს დაგეგმოს მიზნობრივი შეხვედრები მშობლებთან, მათი მოწვევა სკოლაში და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციებზე დასწრება.კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. მათ ინტენსიურად მიეწოდებათ ინფორმაცია კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესახებ სხვადასხვა ფორმით (სოციალური ქსელი და ინდივიდუალური ბარათები). სკოლას გააზრებული აქვს, რომ პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას: შემუშავებას დამათ გაზიარებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

საკლასო კრებებზე, ფეისბუკ გვერდზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობით ჯგუფში, რასაც ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა-2022-2024წწ.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

სასკოლო-სასწავლო გეგმა 2023-2024წწ.

ნებართვა საათობრივი ბადის დამტკიცების შესახებ;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

განმარტებითი ბარათი-გერმანული ენის გაძლიერებული სწავლება;

სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2022-2023წწ.

სკოლის განვითარების ერთწლიანი პროგრამა;

სკოლის განვითარების შვიდწლიანი პროგრამა;

სასკოლო სასწავლო გეგმა.

### 2.1.2. კურიკულუმიეფუძნებაეროვნულისასწავლოგეგმისსაგნობრივსტანდარტებისდამეთოდურიორიენტირებისმოთხოვნებს

1. შემუშავებულიკურიკულუმი/ებიწარმოადგენსმოსწავლეზეორიენტირებულიპროცესისდაგეგმვისადაგანვითარებისგზას;
2. კურიკულუმებიმიემართებაეროვნულისასწავლოგეგმითგანსაზღვრულგრძელვადიანმიზნებს (გლობალურიფუნქციურიუნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნეცნებებიდაშედეგები);
3. სასწავლოპროცესიითვალისწინებსდიფერენცირებულ/ინკლუზიურმიდგომებს;
4. განმსაზღვრელიდაგანმავითარებელიშეფასებამიემართებაგრძელვადიანმიზნებსადამეთოდიკურორიენტირებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

5. დაგეგმვისპროცესშიგათვალისწინებულიაწინარეგამოცდილებისანალიზი.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1.დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კლასების მიხედვით თემების, კონტექსტ მაგალითებისა და კომპლექსურ დავალებებზე სამუშაო სასწავლო რესურსების ჩამონათვალით. კურიკულუმში ძირითადად მოცემულია კომპლექსური დავალების იდეები,რომლებიც კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი წლიური საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია დაორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართვას სწავლა სწავლების პროცესში. ინტერვიურების დროს კარგად გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, რომ კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ მიზანს, გრძელვადიან მიზნისკენ მისასვლელად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს კურიკულუმებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები მიმართული, ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებზე , რაც მოსწავლეებში თავისთავად აღძრავს ავტონომიურობის განცდას და ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას.შ ეიძლება დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, ვინაიდან კომპლექსური ტიპის დავალებები თავისიბუნებით მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა ამ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს, მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა გეგმავს აქტივობებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე კურიკულუმის მოდიფიცირებას. პედაგოგებთან გასაუბრებით ასევე დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავენ ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლებისპრინციპებთან მიმართებაში. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლის შემთხვევაში ინდივიდუალური გეგმების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოყაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შემუშავება და მოსწავლის პირველადი მართვა, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დანართებში წარმოადგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმსაზღვრელი მოიცავს მე-5კლ-ის მე-2 სემესტრს და მე-6 კლასის სრულ სასწავლო წელს. შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევშ ედეგებს.საგნის პედაგოგებს კარგად აქვთ გაზრებული, თუ როგორ უნდა მოხადინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და მოსწავლეთათვის კონსტრუქტივისტული რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

5. სკოლის მასწავლებლების ინტერვიუირებით ირკვევა, რომ ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესის დროს მნიშვნელოვანია წინარე გამოცდილების ანალიზი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოხდება ახალი სასწავლო კურიკულუმის დანერგვა. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია კათედრებთან, კოლეგებთან თანამშრომლობა, სადაც განხილული იქნება ანალიზი, ისეთი აქტივობების იდენტიფიცირება, რომლის განხორციელებამაც წარმატება მოიტანა. მასწავლებლები გეგმავენ და აპირებენ რევიზირებული გადამუშავებული კურიკულუმებით მუშაობას, სადაც გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილების ანალიზი.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
საგნობრივიკურიკულუმისშევსებულიჩარჩოები;
სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024 წ.წ.
ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებისსტატუსისმაძიებლისთვითშეფასების ფორმა;
განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
კურიკულუმის შემუშავების მეთოლოგია 2023-2024 წ.წ.
ტრანზიციის მიმდინარეობა-რეკომენდაციები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დიფერენცირებული დავალებები (კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის ბლოგი);
ინტერვიუ მასწავლებლებთან.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

**☐შეესაბამება**
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

**2.2 კურიკულუმისგანხორციელება**

**2.2.1. სასწავლოპროცესიეფუძნებასწავლასწავლებისკონსტრუქტივისტულპრინციპებს**

1. სასწავლოპროცესიიძლევამოსწავლისაქტიურშემოქმედებითპროცესშიჩართულობისშესაძლებლობას;
2. ახალიცოდნისკონსტრუირებახორციელდებაწინარეცოდნაზედაფუძნებით;
3. სასწავლოპროცესშიაქცენტიკეთდებასწავლისსწავლაზე;
4. სასწავლოპროცესიორიენტირებულიაცოდნისსამკატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურულიდაპირობისეული);
5. სასწავლოპროცესშიუზრუნველყოფილიამოსწავლეთაცოდნათაორგანიზებადაურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში დაწყებით საფეხურზეც სწავლება მიმდინარეობს საგნობრივ ჭრილში და ყველა საგანს ის მასწავლებლები ასწავლიან, ვინც საბაზო და საშუალო საფეხურზეც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოდონაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

არის დასაქმებული. შესაბამისად, დაწყებით საფეხურზეც ისევე გამოიყენება აქტიური სწავლების მეთოდები, როგორც ზედა საფეხურებზე. საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებლები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები და ისე დაგეგმონ აქტივობები, რომ უზრუნველყოფენ მათი მაქსიმალური ჩართულობა. მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები. ამას მოწმობს, განხორციელებული დავალებები და სწავლა-სწავლების პროცესის დროს გამოყენებული აქტივობები. როგორც დადგინდა, გამოყენებული რესურსები მიმართულია მოსწავლეთა შემოქმედებითი და სააზროვნო უნარების განვითარებისკენ. გასაუბრებისას დასახელდა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის რამდენიმე მაგალითი, რა დროსაც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ სასწავლო პროცესში, შექმნეს საინტერესო პროდუქტები და განივითარეს კომპლექსური-სააზროვნო და შემოქმედებითი უნარები. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობას როგორც დაწყებითი საფეხურის სხვადასხვა საგნის ჭრილში, ისე არაფორმალური განათლების ფარგლებში.მოსწავლეებს უმუშავდებათ პრაქტიკული უნარები, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. ახალ საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. სხვადასხვა საგანში ცალკეულ საკითხებში იკვეთება კონტექსტ-მაგალითები, რაც იმას მოწმობს, რომ პედაგოგები ავლენენ სრულ მზაობას იმუშაონ ამ მიმართულებით და ხელი შეუწყონ მოსწავლეებში სამიზნე ცნების გააზრება-განზოგადებას თავისი მკვიდრი წარმოდგენებით. შესაბამისად შეიძლება ითქვას რომ შერჩეული დავალებები, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ინტერატქიულ, კვლევით და ა.შ. აქტივობათა კრებულს, მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმები გაზიარებული და შეჯერებულია საგნობრივი კათედრების წევრებთან, კურიკულუმებში ამა თუ იმ თემაზე შემოთავაზებულია კომპლექსური დავალება, რომელსაც მოიაზრებენ ცოდნის აგების საშუალებად, შუალედურ სასწავლო მიზნად, რომელიც მიმართულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მათ მკვიდრ წარმოდგენებზე. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მათ არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს; ცდილობენ მოახდინონ ინტეგრირება სხვა საკითხთან, ნაცნობ თემასთან და საგანთან. ვიზიტისა და ინტერვიუების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის ჩარჩოში თემები და საკითხები ისეა ორგანიზებული, რომ გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, სადაც ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3.წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ინტერვიუებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია თემატურ

გეგმებში გაწერილ აქტივობებში. გარდა ამისა, მასწავლებლებმა ინტერვიუების დროს აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში ჩართულობა, დამოუკიდებლად ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა განვითარებას ამ მიმართულებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. ამისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა, შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთ დავალებებს, სადაც ისინი, პედაგოგებთან ერთად, ეჩვევიან კვლევის ეტაპების დაგეგმვას. მოსწავლეები სწავლობენ პრობლემის იდენტიფიცირებას, დავალების შინაარსის მორგებას შესაბამის ფორმატთან. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებს აძლევენ მკაფიო ინსტრუქციებს, რათა მათთვის ნათელი იყოს რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას მოცემული დავალების შესასრულებლად. ასევე, პერიოდულად აძლევენ თვითშეფასების საშუალებას, სადაც მოსწავლე აღწერს საკუთარ ნამუშევარს და შესრულებული სამუშაოს თანმიმდევრობას. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ გამოყენებული რესურსები და საკლასო გარემოში მიმდინარე პროცესები, იძლევა მოსწავლეებში თვითმართვისა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარების შესაძლებლობას.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური მატრიცების შემადგენელი კომპონენტების არსი. მათი მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, თითოეული დავალების განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ ქვესაკითხების დამუშავება და ამგვარად საბოლოო პროდუქტის მომზადება, რისთვისაც აუცილებელია როგორც დეკლარატიული, ასევე პროცედურული და პირობისეული ცოდნაც. ყოველივე აღნიშნული დასტურდება დოკუმენტურად, მასწავლებლების მიერ წარმოდგენილ თემატურ გეგმებში/კურიკულუმებში და განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებში წარმოდგენილი შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალების პირობები) ახდენს მოსწავლეების ცოდნის სამივე კატეგორიის რეალიზებას, კერძოდ, ყოველი თემის ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსრუსი დავალება გათვლილია ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული).

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემატური მატრიცების შექმნის პრინციპი. გამოხატული მსჯელობის თანახმად, ვინაიდან სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს კომპლექსური დავალებებით, მათი განხორციელებისას, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა საგნობრივი საკითხის ურთიერთდაკავშირება, მსჯელობა, ანალიზი, პრობლემის გადაჭრა და შედეგად, საბოლოო პროდუქტის მომზადება, რითიც დაადასტურებს საგნობრივ ცოდნას და განივითარებს მაღალსააზროვნო უნარებს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჰ. ჰოლოშაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

5. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის საგნობრივი კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ თვალსაზრისით. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ არსებული გამოცდილებით, ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ახერხებდნენ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარებით, საგაკვეთილო პროცესში ცდილობენ აქტიურად დანერგონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგანმანათლებლო პრინციპები და მათ შორის ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ცალკეულ საგნებში კურიკულუმის ჩარჩოს სამომავლოდ დახვეწის საფუძველზე შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლიგია;

მასწავლებლებთან ინტერვიუები.

**2.2.2.სასწავლოპროცესიეფუძნებასაგნობრივისტანდარტებითგათვალისწინებულგრძელვადიანმიზნებს.**

1. სასწავლოპროცესიუზრუნველყოფსსამიზნეცნებისდამისიმკვიდრიწარმოდგენებისგათავისებასსაგნობრივსაკითხებზედაყრდნობით;
2. საგნობრივიკონტექსტებიემსახურებამოსწავლისპიროვნულდაფსიქო-სოციალურგანვითარებას;
3. შეფასებისსისტემაორიენტირებულიამოსწავლისჰოლისტურიგანვითარებისმხარდაჭერაზე;
4. შეფასებისსისტემაარისვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაშიფუნქციონირებისშეფასებისსისტემისვერიფიკაციისმექანიზმი;
6. სკოლაუზრუნველყოფსშეფასებასთანდაკავშირებულიმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებისსათანადოაღრიცხვასადა შენახვასარანაკლებ 3 წლისვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1.დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რომლებიც სავალდებულო თემების ფარგლებში მოცემული საკითხების მიხედვით მიემართება სასწავლო პროცესებისკენ. სამიზნე ცნებებს აზუსტებს ქვეცნებები, რომელთა საშუალებით დაზუსტებულია კონკრეტული საკითხები და ქვესაკითხები. შესაბამისი კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. ყოველივე ეს ეხმარება მოსწავლეს თეორიული ცოდნა ასახოს ცხოვრებისეულ კონტექსტში და შექმნას კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს დაწყებით საფეხურზე ჩატარებული სხვადასხვა სახის აქტივობების გარშემო. (დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებმა მიწერეს წერილები თანატოლებს ბულინგის აღმოფხვრის გზებზე, შექმნეს პოსტერები გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, მათემატიკაში მოხდა ცოდნის ტრანსფერი მოთხრობაზე - „რწყილი და ჭიანჭველა).**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. დაწყებითი საფეხურის კურუკულუმებისა და კათედრაზე მასწავლებელთა გასაუბრებამ ცხადყო, რომ სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეული იქნა მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესების, საჭიროებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი კონტექსტების ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რის საფუძველზეც მოსწავლეს აქვს საშუალება შეაფასონ საკუთარი ქცევა, დადებითად თუ უარყოფითად, გამოხატონ მისი ემოცია, შეგრძნება მასაწავლებელთან და თანატოლებთან ურთიერთობისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მიზანს ემსახურება თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები, სასწავლო პროცესში გამოიყენებენ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს და აპირებს მომავალი სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოების გამოკითხვაზე დაყრდნობით გადაიხედოს შეფასების არსებული მოდელი. კათედრებზე შემუშავებულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორიცაა: პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა; ესეს შეფასების რუბრიკა; თვითშეფასების რუბრიკა. განმავითარებელი შეფასება ძირითადად ხორციელდება სიტყვიერი ფორმით, ზეპირი უკუკავშირით. ახალ ჩარჩოზე მუშაობისას ქოუჩინგის დროს მოხდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების ნიმუშების შექმნა. მომავალი კურიკულუმის შემუშავებისას კათედრების შეხვედრებზე წევრები ისაუბრებენ კლასებში განხორციელებული კომპლექსური დავალებების შედეგებზე, სირთულეებსა და მათი გადაჭრის გზებზე. ანალიზის საფუძველზე მოხდება დავალებების

სახეცვლილება და მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა. დიაგნოსტიკურ შეფასებას სკოლა ამჟამად ახორციელებს გერმანულ ენასა და მათემატიკაში მხოლოდ მე-6 კლასის მაგალითზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4. კათედრასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, სასწავლო პროცესში მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, ხდება მათი ნამუშევრების ანალიზი, მასწავლებლები გასცემენ რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურიდა სამართლიანი. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის წესი.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

5. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. სსიპ ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. მოსწავლის შეფასებისას გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელსაც ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

6.სკოლა არა ნაკლებ 3 წლის ვადით უზრუნველყოფს როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად წარმოებულ დოკუმენტაციის შენახვას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;

რესურსი 12;

ინტერვიუ.

შეფასების რუბრიკები.

მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომონია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

### 2.2.3. სასწავლოპროცესიეფუძნებაზრუნვასადამხარდაჭერას

1. სასწავლოპროცესშიშექმნილიამხარდამჭერიდამიმღებლობითიგარემო;
2. სასწავლოპროცესიწარიმართებამოსწავლეზეორიენტირებულად;
3. სასწავლოპროცესიეფუძნებათანამშრომლობითკულტურასადაკომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილიაპოზიტიურიკლიმატისკოლისადაკლასისდონეზე.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური, მოსწავლეზე ორიენტირებული უსაფრთხო, სამუშაო, თანამშრომლობითი, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო სასწავლო პროცესში. კათედრებს და კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობა პოზიტიურ და კეთილგანწყობილ გარემოში ხორციელდება. ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენს: შემოქმედებითი კომპლექსური ბუნების დავალებები, საინტერესო რესურსები; სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. წლის დასაწყისში ერთად შეიმუშავებენ სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სკოლებში სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციულ და კონცეპტუალურ საკითხებს. მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს ნაწილია დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა. იგივეს ადასტურებს პედაგოგებთან განხორციელებული ინტერვიუები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი, რომელიც ვრცელდება ყველა მოსწავლეზე სასწავლო და სამუშაო პროცესში. სწავლების დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლომეთოდებს, სწავლებისფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიცსწავლების პროცესში ძალიან ეფექტიანია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. სკოლის თვითშეფასების კითხვარის თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლაში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება, ზრუნვასა და თანასწორობის პრინციპზე არის აგებული უსაფრთხო გარემო. მოსწავლეები თავად ირჩევენ და განსაზღვრავენ საკუთარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რაც დადებითად აისახება მათ აკადემიურ მიღწევებში. პროცესის კონსტრუქტივისტული მეთოდიკით დაგეგმვა გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას. პედაგოგები აღნიშნავენ,მოსწავლეთა დაინტერესებას ისეთი დავალებებით, რომლებიც უკავშირდება მათ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამიტომ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოყაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისასცდილობენ შეარჩიონ ისეთი თემები და კონტექსტმაგალითები, რომლებიც მოერგება მოსწავლეთა პიროვნულ, ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და მათ აკადემიურ შესაძლებლობებს. მოსწავლისათვის შეთავაზებული კომპლექსური ბუნების დავალებები საშუალებას მისცემს მათ გამოავლინონ ავტონომიურობა, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაციის უნარი. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. პედაგოგები არჩევენ სასწავლომეთოდებს, სწავლებისფორმებს, სტრატეგიებს, რომლებიცსწავლების პროცესში ეფექტიანია.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. სკოლის თვითშეფასებიდან, გასაუბრებიდან, კათედრების ოქმებიდან ირკვევა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს შექმნას პირველ რიგში ცდილობს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი და მხარდამჭერი გარემოს ფორმირებით. მაგალითად, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების და პრობლემების გადასაწყვეტად. კათედრებზე, მასწავლებლები თანამშრომლობენ კურიკულუმებზე, შეფასების რუბრიკებზე მუშაობისას, ერთობლივად აფასებენ და რეფლექსიის საფუძველზე იღებენ სასწავლო პროცესის განვითარებაზე ორიენტირებულ გადაწყვეტილებას. ამასთან ერთად, კათედრაზეშეხვედრებისას ანალიზდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, კონკრეტული გამოწვევები და პრობლემები. კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ ინდივიდუალურ გამოცდილებას ამა თუ იმ კლასში კომპლექსური დავალების განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების შესახებ.კათედრის მუშაობა ეფუძნება კათედრის წევრებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას, თანამშრომლობას როგორც კათედრის შიგნით ასევე კათედრებს შორის, წარმატების წინაპირობათა განსაზღვრას, კათედრის როგორც გუნდის ფუნქციონირებას, მშობლებთან აქტიურ კომუნიკაციას. სკოლაში არსებობს მშობლებთან პოზიტიური თანამშრომლობითი კულტურა. სწავლების დაწყებით საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში აქვთ თანამშრომლობითი გარემო. სასწავლო წლის განმავლობაში სისტემატურად ხდება გამოცდილების გაზიარება, უკუკავშირი, მსჯელობა არსებულ პრობლემებსა თუ მიღწევებზე, გასაუმჯობესებელ მხარეებზე, აღნიშნულის გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცესს და კოორდინირებულად მუშაობენ. მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის არსებობს სისტემატური კომუნიკაციის გამოცდილება, მაგალითად მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად ადგენენ შეფასების რუბრიკებს, რაც მიუთითებს სკოლაში არსებულ თანამშრომლობით კულტურაზე.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

4. სკოლის ადმინისტრაცია, თანამშრომლები, პედაგოგები სკოლაში ქმნიან უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ გარემოს. ბავშვების ასაკისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება თემატური ღონისძიებები. ყურადღება ექცევა პედაგოგთა და მოსწავლეთა საინტერესო აქტივობების წახალისებას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას ჩანდა კოლეგებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. სკოლის შიდა და გარე სივრცე კარგად არის მოწყობილი და მეტწილად შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. იგრძნობა სკოლის ადმინისტრაციის მზაობა პრობლემური საკითხების სათანადო დონეზე გადაჭრისთვის. სკოლაში არსებული და მოქმედი შინაგანაწესი, ხელმძღვანელობის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისა და პედკოლექტივის მიმართ უზრუნველყოფს პოზიტიური და მეგობრული გარემოს შექმნას როგორც სკოლის, ისე კლასის დონეზე. მისიისა და ხედვის შემუშავებაში თემის ჩართულობა, შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

ზოგადსაგანმანათლებლოდაწესებულებისსტატუსისმაძიებლისთვითშეფასების ფორმა;

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმისჩარჩოები;

სკოლის შინაგანაწესი;

განხორციელებული პროექტები;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

მოსწავლის ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი;

პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☐შეესაბამება
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

**2.3. კურიკულუმისმონიტორინგიდაშეფასება**

**2.3.1 მიმდინარეპროცესებისმონიტორინგიდაშეფასებაწარმოადგენსსასწავლოპროცესისთანმდევგანუყოფელნაწილს**

1. მონიტორინგიდაშეფასებახორციელდებაკურიკულუმითგანსაზღვრულიმეთოდოლოგიისშესაბამისად;
2. მონიტორინგიდაშეფასებაემსახურებასასკოლოსაზოგადოებისწევრებისმხარდაჭერასადადახმარებას;
3. მონიტორინგიდაშეფასებაგანსაზღვრავსპრობლემისგადაჭრისგზას/საშუალებას.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:
- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. კათედრის წევრებთან გასაუბრებამ გამოავლინა შემდეგი, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ აღქმული და გათავისებული მონიტორინგის წარმოების მნიშვნელობა, ისინი იაზრებენ რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი

მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. კათედრის წევრებთან შეხვედრისას და მათთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ პედაგოგები ხვდებიან შეფასებისა და მონიტორინგის აუცილებლობას, ამით ისინი ადგენენ და ახდენენ არსებული პრობლემის იდენტიფიცირებას და ფიქრობენ, შეიმუშავებენ და განსაზღვრავენ არსებული პრობლემების გზებს თუ საშუალებებს. მიღებული შედეგების გათვალისწინებით კათედრებზე იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. კოლეგების ურთიერთდასწრება ეფუძნება მასწავლებლის საჭიროებებს და მისი სირთულეების გადაჭრის გზებს. კოლეგები ერთმანეთს აძლევდნენ ზეპირ კონსტრუქციულ უკუკავშირს. ახალი სასწავლო წლიდან მოხდება ურთიერთდასწრების და მონიტორინგის ჯგუფის დასწრების რუბრიკები და შეივსება მასწავლებლის რეფლექსიის ფორმები, რომელთა გაცნობის შემდეგ მასწავლებელს მიეცემა წერილობითი უკუკავშირი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

კათედრის წევრებთან გასაუბრება;

ინტერვიუ.

ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის შემაჯამებელი სხდომის ოქმი.

**2.3.2. სასწავლოპროცესისშეფასებაატარებსჰოლისტურხასიათს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. შეფასებაეყრდნობამრავალფეროვანწყაროებს;
2. შეფასებახორციელდებამრავალიკონტექსტისგათვალისწინებით;
3. შეფასებისასგამოყენებულიამონაცემთაშეგროვებისმრავალფეროვანიმეთოდები;
4. შეფასებახორციელდებასხვადასხვაფაქტორისგათვალისწინებით.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები ყველა საგნობრივ კათედრაზე, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სამიზნე ცნებების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას ისასხავს მიზნად. წარმოდგენილია ცალკეულ საგნებში გაკვეთილის გეგმები რეფლექსიებთან ერთად, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, პროექტის შეფასების რუბრიკები, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევები. პედაგოგებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებს. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, რასაც უზიარებს კოლეგებს კათედრაზე და ცდილობენ ერთად იპოვონ სწავლების ხარვეზები. პედაგოგები მუდმივად ახდენენ ზემოთხსენებული დოკუმენტაციების დახმარებით მოსწავლეთა მრავალმხრვი უნარების და პროცესების შეფასებას. მათი მიღწევების და შედეგების გაზომვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალიწინებით. ეს გულისხმობს კონკრეტული სიტუაციის გაანალიზებასა და სპეციფიკური გარემოებების გათვალიწინებას, რომელსაც შესაძლოა ემოქმედა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. ამას მოწმობს შემაჯამებელი დავალებების ანგარიშები, პროექტები, ისგ გეგმები, სხვადასხვა კათედრების მიერ შემუშავებული ოქმები. პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია პედაგოგებთან ერთად ადმინისტრაციას. ადმინისტარცია ითვალისწინებს პედაგოგების მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და მასწავლებლებთან ერთად გეგმავს პროცესის გაუმჯობებსხების გზებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. სკოლაში არსებობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი გამოცდილება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა შეფასების შედეგების ანალიზი, დაკვირვებისა და ჩანაწერების წარმოება, ასევე პრაქტიკის კვლევები, შემაჯამებლების ანალიზი, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვითშეფასება. დოკუმენტი 12 -ის მიხედვით სკოლები ახორციელებენ გაკვეთილზე დასწრებას. გეგმავენ დიაგნოსტიკური ტესტირებების ჩატარებას. აღნიშნული დოკუმენტაცია სკოლას წარმოდგენილი აქვს და დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას ამ კუთხით გააჩნია გამოცდილება, ცოდნა და უნარი რომ შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4. პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. (ასაკი, მოსწავლეთა შესაძლებლობები, საჭიროებები, ინტერესები, თემების და საკითხების სირთულე და სხვ) აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით დაგეგმავენ მომდევნო სასწავლო წელს და დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევასაც შეძლებენ. შეფასებისასგათვალისწინებულიიქნებამოსწავლისაკადემიურიდონე, მოსწავლისგანვითარებისდინამიკა, განვითარებისპროცესი. პედაგოგებმაინტერვიუსდროსაღნიშნესრომ,კომპლექსურიდავალებისგანხორციელებისპროცესში და მისი შეფასებისასმეტადგაითვალისწინებენზემოთაღნიშულ ფაქტორებს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 წწ.

დოკუმენტი 12

სსსმ გეგმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოკაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კომპლექსური დავალებები
შეფასების რუბრიკები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

**☐შეესაბამება**
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

**2.4კურიკულუმისგადასინჯვადარევიზია**

**2.4.1 წლიურიმუშაობისშედეგადიქმნებაკურიკულუმისგადამუშავებულივერსია**

1. იქმნებაკურიკულუმისგანვითარებისადამხარდაჭერისსარეკომენდაციოსაჭიროებათაპაკეტი;
2. კურიკულუმისგადამუშავებულივერსიაეფუძნებაწინარეგამოცდილებასდაითვალისწინებსმონიტორინგისადაშეფასებისშედეგებს.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. ამ პროცესის შედეგად, გამოიკვეთება, მომდევნო წლის კურიკულუმის შემუშავების დროს გასათვალისწინებელი, „საჭიროებათა პაკეტი“. სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დირექციის მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე, მონიტორინგს უწევს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, გაკვეთილზე დასწრების გზით. მათი მხრიდან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოლონაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მასწავლებლების მიმართგაცემული განმავითარებელი უკუკავშირი, ასევე წარმოადგენს რეკომენდაციას სასწავლო პროცესის საჭიროებებზე, რომელიც გავლენას ახდენს კურიკულუმის შემუშავების პროცესზე.სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის, ყოველი ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას ხორციელდება მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესების გათვალისწინება. მომდევნო სასწავლო წლიდან ამ პროცესს დოკუმენტურადაც ასახავენ.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის, კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. საჭიროებების გათვალისწინებით იგეგმება წლიური სამოქმედო გეგმა,გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ საგნობრივიკათედრები. ახალ კურიკულუმებზე მუშაობაც ამ პრინციპების გათვალისწინებით მიმდინარეობს.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფისშემაჯამებელი ჯგუფის ოქმი;
ხარისხის უზრუნველყოფის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

**☐შეესაბამება**
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ხ. ხოლონაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ცხრილიივსებათითოეულიკურიკულუმისთვისცალ-ცალკე

| სტანდარტი 2 | ექსპერტთაჯგუფისშეფასება<br>*(მონიშნეთშესაბამისიუჯრასტანდარტისადაკომპონენტისშესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლოკურიკულუმი(საბაზო საფეხური)** | ☐**შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმისშემუშავება | ☐**შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმისგანხორციელება | ☐**შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმისმონიტორინგიდაშეფასება | ☐**შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმისგადასინჯვადარევიზია | ☐**შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## II. ავტორიზაციისმე-2 სტანდარტთანშესაბამისობისშეფასება

### 2. სასკოლოკურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმისშემუშავება

### 2.1.1. კურიკულუმისშემუშავებაშიჩართულიასასკოლოსაზოგადოება

1. კურიკულუმისშემუშავებისმეთოდოლოგიაიძლევასასკოლოსაზოგადოებისინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისადაპრიორიტეტებისგათვალისწინებისშესაძლებლობას;
2. კურიკულუმშიასახულიასასკოლოსაზოგადოებისინტერესები;
3. კურიკულუმიშემუშავებულიასასკოლოსაზოგადოებისმიერ;
4. კურიკულუმიგაზიარებულიასასკოლოსაზოგადოებისმიერ.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლამ ავტორიზაციის მიმდინარეობის პერიოდში ქოუჩებთან გავლილი კონსულტაციების შედეგად შეიმუშავა საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოები, რომლებშიც გაიწერა მიმდინარე სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები. უკვე ჩატარებულ და ბანკის მიერ შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია, რომელსაც გაეცნო სკოლის ადმინისტრაცია. კურიკულუმის შემუშავებაში ნაწილობრივაა გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მშობლების ინფორმირების საშუალებად მოაზრებულია სხვადასხვა საშუალება: კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნა, მშობელთა კრებები და სოციალური ქსელები. კათედრის წევრები ურთიერთთანამშრომლობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ხ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას. მასწავლებლებთან ინტერვიუს პოროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში ნაწილობრივ გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. ინტერვიუს პროცესში, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები შემუშავდა საგნობრივკათედრებზე თანამშრომლობითა და დირექციის ჩართულობით. მოსწავლის ინტერესების ასახვის მიზნით, სასწავლო თემების შერჩევის დროს, ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. ასევე, სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ბარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის.ასევე, სასკოლო საზოგადოების ინტერესების თანახმად, სკოლაში წარმატებით ხორციელდება გერმანული ენის სადიპლომო პროგრამა (DSD პროგრამა). შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის გარდა, გერმანულის სწავლებას ეთმობა დამატებითი საათები.სკოლა ასევე სარგებლობს ეროვნული სასწავლო გეგმით დაშვებული ჯამური საათების 25%-იანი გადანაწილების პრინციპით, რაც ფაქტობრივად ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადის პროექტში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტითგ ათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია კათედრაზე ყველა მასწავლებლის ჩართულობით. მათ შეადგინეს ყველა კლასის ჩარჩო-კურიკულუმი, შეათანხმეს კომპლექსური დავალებების იდეები და შემაჯამებელი სამუშაობი, შეარჩიეს შეფასების ინსტრუმენტები. კურიკულუმის შემუშავებაშისაზოგადოებისსხვაწევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს)უშუალოდ არმიუღიათმონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესებიც, რადგან საგნის მასწავლებლის მხრიდან დაგეგმვის პროცესი ეყრდნობათვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. ასევე, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა.როგორც მათ აღნიშნეს, მომდევნო სასწავლო წლისთვის კიდევ უფრო გააძლიერებენ

სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართვას შემუშავების პროცესში და უფრო მეტად გამოკვეთენ მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს სწავლა-სწავლების პროცესში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4.მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისათვის საბაზო საფეხურის მასწავლებლები იყენებენ მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს, მშობელთა კრებებს, სოციალურ ქსელებს (სკოლის ფეისბუქ გვერდსა და ჯგუფების სასაუბროებს). დაგროვებული გამოცდილებისსაფუძველზესკოლაგეგმავსმომავალისასწავლოწლიდანგააქტიუროსმოსწავლეებთანდამშობლებთანსათანადოკომუნიკაციადაინფორმაციებისგაცვლა-გამოცვლა. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. მათ ინტენსიურად მიეწოდებათ ინფორმაცია კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესახებ სხვადასხვა ფორმით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას: შემუშავებას დამათ გაზიარებას საკლასო კრებებზე, ფეისბუკ გვერდზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობით ჯგუფში, რასაც ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლააკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

საბაზო საფეხურის კურიკულუმები;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა-2022-2024წწ.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

სასკოლო-სასწავლო გეგმა 2023-2024წწ.

ნებართვა საათობრივი ბადის დამტკიცების შესახებ;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

განმარტებითი ბარათი-გერმანული ენის გაძლიერებული სწავლება;

სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2022-2023წწ.

სკოლის განვითარების ერთწლიანი პროგრამა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**2.1.2. კურიკულუმიეფუძნებაეროვნულისასწავლოგეგმისსაგნობრივისტანდარტებისდამეთოდურიორიენტირებისმოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. ქ. თელავის N9 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი, საგნების კურიკულუმები ორიენტირებულია საბაზო საფეხურისა და შესაბამისი საგნის სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა (სამიზნე ცნებებსა) და საფეხურის მისაღწევ შედეგებზე. სასწავლო თემები შეესაბამება სტანდარტის სავალდებულო თემატურ ბლოკებს; ითვალისწინებს საფეხურის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. შუალედურ მიზნებად გამოყენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით არის შერჩეული და ითვალისწინებს მრავალი საინტერესო პროდუქტის შექმნას. კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ყურადღებას უშუალოდ სწავლისპ როცესზე ამახვილებს, რომელიც შეესაბამება სამგანზომილებიანი კურიკულუმის მეთოდიკურ ორიენტირებს; მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელსუწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კათედრის მიერ ნიმუშის სახით მოწოდებულია მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება მიიღონ სრული ინფორმაცია შესრულებული აქტივობების შესახებ.გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას უწყობს ხელს; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ხ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2.სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში გაწერილია გრძელვადიანი მიზნები, რომელსაც აზუსტებს და მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები.თემები შერჩეულია სკოლის ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. ყველა თემაში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება. კურიკულუმებში შეტანილი კომპლექსური დავალების იდეები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე. ხშირად კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ პრეზენტაციის ან პოსტერის წარმოდგენა. შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც პოზიტიურ სასწავლო გარემოს ქმნის და იწვევს ყველა იმ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ აქვთ საკმაოდ კარგი გამოცდილება იმისთვის, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის დავალებები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, გუნდურობას, კომუნიკაციას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. წარმოდგენილი თემატური ერთეულების, ინდ. გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ, აქვთ გამოცდილება, რომ ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ სამომავლოდ კურიკულუმის ადაპტირება. სკოლა მიზნად აქვს დასახული უზრუნველყოს თანაბარ ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი ყველა მოსწავლისთვის, რაც თავის მხრივ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებას გულისხმობს.
სკოლა 2021-2022 სასწავლო წლიდან ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგებითა და სამუშაო შეხვედრებით მასწავლებლებმა უკეთ გაიაზრეს დიფერენცირების არსი და მისი პრაქტიკაში გადმოტანა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4. სკოლა წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლის შეფასების მნიშვნელოვან მიზნად სწავლა სწავლების ხარისხის მართვას გეგმავს, რაც თავის მხრივ სწავლის ხარისხის განვითარებაზე ზრუნვას და სწავლა სწავლების ხარისხის მონიტორინგს გულისხმობს. შესაბამისად სკოლა განსაზღვრავს მოსწავლის შეფასების ამოცანებს. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ დაგეგმვის პროცესში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჰ. ჰოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის, მოსწავლეები შეფასდებიან, როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. მასწავლებლები ყველა საფეხურზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები სხვადასხვა საგანში. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მასწავლებლები სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს. გაწერილია, როგორც განმავითარებელი, ასევე  განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც აჩვენებენ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი, მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ახდენს გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

5. კათედრების მიერ, არსებული გამოცდილების, თანამშრომლობისა და ერთობლივი ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია შუალედური მიზნები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, ითვალისწინებენ სწავლა სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, გამოწვევებს, ანალიზის შედეგებს, მშობლებთან კონსულტირებას. ინფორმაციის მოგროვება სხვადსხვა წყაროზე დაყრდნობით იქნა გათვალისწინებული სასკოლო თუ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას. ასევე მასწავლებლებთან ინტევიუს დროს გამოიკვეთა, რომ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები, სადიაგნოსტიკო წერები, SOLO ტაქსონომიის მიხედვით შეფასებული კომპლექსური დავალებები, რეფლექსიის, თვითრეფლექსიის, მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზის საფუძველზე მოხდა ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი 2.1.2.5. შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება  (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

სკოლის თვითშეფასების კითხვარი;

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

კურიკულუმის ჩარჩოები და დავალების მატრიცები

შეფასების რუბრიკები;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ხ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სსსმ მოსწავლეებისთვის მოდიფიცირებული მატრიცები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☐**შეესაბამება**
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

## 2.2. კურიკულუმისგანხორციელება

### 2.2.1. სასწავლოპროცესიეფუძნებასწავლასწავლებისკონსტრუქტივისტულპრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. წარმოდგენილი კურიკულუმებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა რომ სკოლა რამდენიმე წელია ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და დაწყებით საფეხურზე წარმატებით ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მრავალადაა იმგვარი ტიპის მასალა, სადაც ჩანს მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

განხორციელებისას. მასწავლებლები სისტემატიურად გეგმავენ სხვადახვა სახის პროექტებს, რომლის ფარგლებშიც ამზადებენ პრეზენტაციებს, აწყობენ გამოფენებს, დადიან ექსკურსიაზე მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და ეროვნულ კონფერენციებში, ოლიმპიადებში. აქტიურად არიან ჩართულები არაფორმალურ განათლებაში. აღნიშნული აქტივობები ხელსუწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართვას, ამაზე მეტყველებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. (ფოტო და ვიდეო მასალა, ექსკურსიის გეგმა და აღწერილობა, სერტიფიკატები, პროექტის გეგმები). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით, თითოეულ სემესტრში დაგეგმილია 1 ან 2 კომპლექსური ტიპის დავალებები საბაზო საფეხურზე. კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან საგნობრივი კურიკულუმები და გეგმილია თემატურად, ხოლო თემატური დაგეგმვა წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მისწინარე ცოდნასა დაგამოცდილება ზედაყრდნობით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ განახორციელონ ისეთი კომპლექსური დავალებები, სადაც გათვალისწინებული იქნება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. ასევე, გეგმავენ პროექტებს, აქტივობებს დასასწავლო პროცესი დატვირთულიიქნება მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტებით, რაც სასკოლო ცხოვრებას უფრო ეფექტურს დამოტივირებულს გახდის.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწვლებელებთა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებს, ხელსუწყობენმოსწავლისრეფლექსიას, სთავაზობენ მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობის და მათ გამოცდილებაზე მორგებულ აქტივობებს კომპლექსური დავალებების და პროექტების დახმარებით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კონფერენციაში მონაწილების სერტიფიკატები და სიგელები. მასწავლებელთა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რომ აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენონ თვითშეფასების რუბრიკები, მეტაკოგნიტური სქემები, დიაგრამები, რითიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებასა და დამუშავებას, პრეზენტაციას, მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარებას. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მიღწევის, ათვისების პროცესებს და შეუძლიათ შეცვალონ, ან მოდიფიცირება გაუკეთონ სასწავლო მეთოდებს მეტი შედეგის მისაღწევად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4.. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლა რამდენიმე წელია ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც თავისთავად შედგება ეტაპებისგან და მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვითაა შემუშავებული. ეს მეტყველებს იმაზე რომ, სასწავლო პროცესში ხელი ეწყობა მოსწავლის მრავალმხრივი უნარების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

და ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია რესურსებად ის ძირითადი და დამხმარე მასალა (მრავალფეროვანი ვიდეო, აუდიო და სხვადასხვა თვალსაჩინოებები), რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის სხვადასხვა მეთოდით მიღებას და გააზრებას. ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებას ასევე ხელს უწყობს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა დააქტივობების განხორციელებას, რაც კარგად ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა საინტერესო აქტივობებში (პროექტზე მუშაობის, კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელების ეტაპები). მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოსწავლეებმა განახორციელონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რაც საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ შესწავლას და შემდგომ მის ტრანსფერს უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

5. წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე, რომელიც მოიცავს კომპლექსური ტიპის აქტივობებს, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საკითხების, საგნების ინტეგრირება და მათი დაკავშირება მოსწავლის ყოველდღიურობასთან. მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ პროექტებში. გეგმავენ ექსკურსიებს, წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ეროვნულ თუ საერთაშორისო კონფერენციებში. მართავენ გამოფენებს. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსწავლის ცოდნათა გაერთიანება, თავმოყრა და გამოყენება, ამისთვის კათედრებზე სასწავლო წლის დასაწყისში თემატურად იგეგმება მასალა, რომელიც მოიცავ სიმგვარ აქტივობებს, რაც მოსწავლეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 წწ.

დოკუმენტი 12 (სხვადასხვა საგნობრივ ჭრილში)

შეფასებების რუბრიკები

კომპლექსური დავალებები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

15 -პროექტები, კონფერენციები

**2.2.2.სასწავლოპროცესიეფუძნებასაგნობრივისტანდარტებითგათვალისწინებულგრძელვადიანმიზნებს.**

1. სასწავლოპროცესიუზრუნველყოფსსამიზნეცნებისდამისიმკვიდრიწარმოდგენებისგათავისებასსაგნობრივსაკითხებზედაყრდნობით;
2. საგნობრივიკონტექსტებიემსახურებამოსწავლისპიროვნულდაფსიქო-სოციალურგანვითარებას;
3. შეფასებისსისტემაორიენტირებულიამოსწავლისჰოლისტურიგანვითარებისმხარდაჭერაზე;
4. შეფასებისსისტემაარისვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაშიფუნქციონირებისშეფასებისსისტემისვერიფიკაციისმექანიზმი;
6. სკოლაუზრუნველყოფსშეფასებასთანდაკავშირებულიმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებისსათანადოაღრიცხვასადა შენახვასარანაკლებ 3 წლისვადით.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რომლებიც სავალდებულო თემების ფარგლებში მოცემული საკითხების მიხედვით მიემართება სასწავლო პროცესებისკენ. სამიზნე ცნებებს აზუსტებს ქვეცნებები, რომელთა საშუალებით დაზუსტებულია კონკრეტული საკითხები და ქვესაკითხები. შესაბამისი კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. ყოველივე ეს ეხმარება მოსწავლეს თეორიული ცოდნა ასახოს ცხოვრებისეულ კონტექსტში და შექმნას კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს საბაზო საფეხურზე ჩატარებული სხვადასხვა სახის აქტივობების, პროექტების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. საბაზო საფეხურის კურუკულუმებისა და კათედრაზე მასწავლებელთა გასაუბრებამ ცხადყო, რომ სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეული იქნა მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესების, საჭიროებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი კონტექსტების ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რის საფუძველზეც მოსწავლეს აქვს საშუალება შეაფასონ საკუთარი ქცევა, დადებითად თუ უარყოფითად, გამოხატონ მისი ემოცია, შეგრძნება მასაწავლებელთან და თანატოლებთან ურთიერთობისას. ასევე, მოსწავლეთა პიროვნების ჩამოყალიბებასა და მათ განვითარებაზე მოწმობს სხვადასხვა სახის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

პროექტები, გაცვლითი პროგრამები რომლებსაც სხვადასხვა საგნის კათედრები გეგმავენ და ახორციელებენ. მოსწავლეთა განვითარებას ხელს უწყობს არაფორმალური განათლების აქტივობები და მათი ღონისძიებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მიზანს ემსახურება თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები, სასწავლო პროცესში გამოიყენებენ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს და აპირებს მომავალი სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოების გამოკითხვაზე დაყრდნობით გადაიხედოს შეფასების არსებული მოდელი. კათედრებზე შემუშავებულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორიცაა: პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა; ესეს შეფასების რუბრიკა; თვითშეფასების რუბრიკა. განმავითარებელი შეფასება ძირითადად ხორციელდება სიტყვიერი ფორმით, ზეპირი უკუკავშირით. ახალ ჩარჩოზე მუშაობისას ქოუჩინგის დროს მოხდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების ნიმუშების შექმნა. მომავალი კურიკულუმის შემუშავებისას კათედრების შეხვედრებზე წევრები ისაუბრებენ კლასებში განხორციელებული კომპლექსური დავალებების შედეგებზე, სირთულეებსა და მათი გადაჭრის გზებზე. ანალიზის საფუძველზე მოხდება დავალებების სახეცვლილება და მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა. დიაგნოსტიკურ შეფასებას სკოლა ამჟამად ახორციელებს გერმანულ ენასა და მათემატიკაში მხოლოდ მე-6 კლასის მაგალითზე.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4. კათედრასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, სასწავლო პროცესში მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, ხდება მათი ნამუშევრების ანალიზი, მასწავლებლები გასცემენ რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურიდა სამართლიანი. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის წესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

5. სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. სსიპ ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. მოსწავლის შეფასებისას გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელსაც ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

6.სკოლა არა ნაკლებ 3 წლის ვადით უზრუნველყოფს როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად წარმოებულ დოკუმენტაციის შენახვას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

საბაზო საფეხურის კურიკულუმები;

რესურსი 12;

ინტერვიუ.

შეფასებს რუბრიკები.

მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი.

არაფორმალური განათლების ღონისძიებები.

**2.2.3. სასწავლოპროცესიეფუძნებაზრუნვასადამხარდაჭერას**

1. სასწავლოპროცესშიშექმნილიამხარდამჭერიდამიმღებლობითიგარემო;
2. სასწავლოპროცესიწარიმართებამოსწავლეზეორიენტირებულად;
3. სასწავლოპროცესიეფუძნებათანამშრომლობითკულტურასადაკომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილიაპოზიტიურიკლიმატისკოლისადაკლასისდონეზე.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესი ხორციელდება პოზიტიურ, თანამშრომლობით და დემოკრატიულ გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე. სკოლაში დაგეგმილი ხელშემწყობი აქტივობების დებულებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლაში შექმნილია ტოლერანტული და თანასწორი გარემო, რაც განაპირობებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან ინიციატივების მიღებას, დაფასებას, განხორციელებასა და გაუმჯობესებას. აქტიურად ხორციელდება მოსწავლეებისთვის საინტერესო პროექტები, წრეები/კლუბები, სადამრიგებლო პროგრამა, ინკლუზიური განათლების პროგრამა, კომპლექსური დავალებები. ეს ყველაფერი უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსებით (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა). სკოლა აქტიურად მონაწილეობს არაფორმალური განათლების საგნობრივ პროგრამებში. სკოლაში არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე აგებული ატმოსფერო.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპს, რაც მოსწავლისგან მოითხოვს თანამშრომლობის, ჯგუფში მუშაობის მზაობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის და სხვა ღირებულებების გამოვლენას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. მასწავლებელთა მიერ შემუშავებულია კურიკულუმები, დაგეგმილია არაფორმალური აქტივობები და პედაგოგების სადამრიგებლო პროგრამები. სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების მეთოდები და მიდგომები, სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია შესაბამისი სასწავლო გარემო რესურს ოთახის და ინდივიდუალური გეგმების სახით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ინტერესებზე მორგებულ და მათზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას.
სკოლას შემუშავებული აქვს ყველა კლასის კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება და მოდიფიცირებული სწავლების მეთოდის აქტიურად გამოყენება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწავლეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო, ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3.. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. ხშირად მიმდინარეობს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, რაც სასწავლო პროცესში თანამშრომლობით წარმატებების მიღწევისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების წინაპირობაა.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). მშობლები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.
ინტერვიუს შედეგადაც გამოვლინდა, რომ კათედრის წევრებს მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ განხორციელებულ პროექტებში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს რომლებიც მოითხოვს სასკოლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ხ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზციებთან, თვითმმართველობასთან ერთად გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს.
სკოლის ავტორიზაციის პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ სკოლის დაწყებით საფეხურზე ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებასა და სპორტულ ფესტივალებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე, რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში, კერძოდ: შეფასების სისტემა, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად; ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ, სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს. თუმცაღა არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს და ამისათვის სრული მზაობაა. ამ მიმართულებით აქტივობების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეების, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების გამოცდილებას. სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების ფარგლებში ჩატარებული კმაყოფილების კვლევის ანალიზიდან გამომდინარე, სკოლაში იგეგმება დამატებითი გამოკითხვის ჩატარება და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება პოზიტიური კლიმატის სათანადოდ გაუმჯობესების მიზნით.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
სასკოლო გეგმა;
თვითშფასების დოკუმენტი.
კურიკულუმები;
კომპლექსური დავალებები;
კათედრის სხდომის ოქმი;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;
პროექტები, ფოტომასალა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. ხოდონაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

**☐შეესაბამება**
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

**2.3. კურიკულუმისმონიტორინგიდაშეფასება**

**2.3.1. მიმდინარეპროცესებისმონიტორინგიდაშეფასებაწარმოადგენსსასწავლოპროცესისთანმდევგანუყოფელნაწილს**

1. მონიტორინგიდაშეფასებახორციელდებაკურიკულუმითგანსაზღვრულიმეთოდოლოგიისშესაბამისად;
2. მონიტორინგიდაშეფასებაემსახურებასასკოლოსაზოგადოებისწევრებისმხარდაჭერასადადახმარებას;
3. მონიტორინგიდაშეფასებაგანსაზღვრავსპრობლემისგადაჭრისგზას/საშუალებას.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:
- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);

- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. კათედრის წევრებთან გასაუბრებამ გამოავლინა შემდეგი, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ აღქმული და გათავისებული მონიტორინგის წარმოების მნიშვნელობა, ისინი იაზრებენ რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას.სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. კათედრის წევრებთან შეხვედრისას და მათთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ პედაგოგები ხვდებიან შეფასებისა და მონიტორინგის აუცილებლობას, ამით ისინი ადგენენ და ახდენენ არსებული პრობლემის იდენტიფიცირებას და ფიქრობენ, შეიმუშავებენ და განსაზღვრავენ არსებული პრობლემების გზებს თუ საშუალებებს. მიღებული შედეგების გათვალისწინებით კათედრებზე იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. კოლეგების ურთიერთდასწრება ეფუძნება მასწავლებლის საჭიროებებს და მისი სირთულეების გადაჭრის გზებს. კოლეგები ერთმანეთს აძლევდნენ ზეპირ კონსტრუქციულ უკუკავშირს. ახალი სასწავლო წლიდან მოხდება ურთიერთდასწრების და მონიტორინგის ჯგუფის დასწრების რუბრიკები და შეივსება მასწავლებლის რეფლექსიის ფორმები, რომელთა გაცნობის შემდეგ მასწავლებელს მიეცემა წერილობითი უკუკავშირი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

კათედრის წევრებთან გასაუბრება;

ინტერვიუ.

ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის შემაჯამებელი სხდომის ოქმი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2.3.2. სასწავლოპროცესისშეფასებაატარებსჰოლისტურხასიათს

1. შეფასებაეყრდნობამრავალფეროვანწყაროებს;
2. შეფასებახორციელდებამრავალიკონტექსტისგათვალისწინებით;
3. შეფასებისასგამოყენებულიამონაცემთაშეგროვებისმრავალფეროვანიმეთოდები;
4. შეფასებახორციელდებასხვადასხვაფაქტორისგათვალისწინებით.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები ყველა საგნობრივ კათედრაზე, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სამიზნე ცნებების დამასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას ისასხავს მიზნად. წარმოდგენილია ცალკეულ საგნებში გაკვეთილის გეგმები რეფლექსიებთან ერთად, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, პროექტის შეფასების რუბრიკები, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევები. პედაგოგებმა საუბრისას აღნიშნეს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებს. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, რასაც უზიარებს კოლეგებს კათედრაზე და ცდილობენ ერთად იპოვონ სწავლების ხარვეზები. პედაგოგები მუდმივად ახდენენ ზემოთხსენებული დოკუმენტაციების დახმარებით მოსწავლეთა მრავალმხრვი უნარების და პროცესების შეფასებას. მათი მიღწევების და შედეგების გაზომვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალიწინებით. ეს გულისხმობს კონკრეტული სიტუაციის გაანალიზებასა და სპეციფიკური გარემოებების გათვალიწინებას, რომელსაც შესაძლოა ემოქმედა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. ამას მოწმობს შემაჯამებელი დავალებების ანგარიშები, პროექტები, ისგ გეგმები, სხვადასხვა კათედრების მიერ შემუშავებული ოქმები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია პედაგოგებთან ერთად ადმინისტრაციას. ადმინისტრაცია ითვალისწინებს პედაგოგების მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და მასწავლებლებთან ერთად გეგმავს პროცესის გაუმჯობებსების გზებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. სკოლაში არსებობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი გამოცდილება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა შეფასების შედეგების ანალიზი, დაკვირვებისა და ჩანაწერების წარმოება,გაკვეთილზე დასწრების ფორმა და მასწავლებლის რეფლექსია, შემაჯამებლების ანალიზი, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვითშეფასება. დოკუმენტი 12 -ის მიხედვით კათედრები გეგმავენ დიაგნოსტიკური ტესტირებების ჩატარებასაც. აღნიშნული დოკუმენტაცია სკოლას წარმოდგენილი აქვს და დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას ამ კუთხით გააჩნია გამოცდილება, ცოდნა და უნარი რომ შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4. პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. (ასაკი, მოსწავლეთა შესაძლებლობები, საჭიროებები, ინტერესები, თემების და საკითხების სირთულე და სხვ) აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით გეგმავენ სასწავლო წელს დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევასაც შეძლებენ.შეფასებისასგათვალისწინებულიამოსწავლისაკადემიურიდონე, მოსწავლისგანვითარებისდინამიკა, განვითარებისპროცესი. პედაგოგებმაინტერვიუსდროსაღნიშნესრომ,კომპლექსურიდავალებისგანხორციელებისპროცესში და მისი შეფასებისასმეტადგაითვალისწინებენზემოთაღნიშულ ფაქტორებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 წწ.

დოკუმენტი 12



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სსსმ გეგმები
კომპლექსური დავალებები
შეფასების რუბრიკები
გაკვეთილზე დასწრების ფორმა
შემაჯამებლების ანალიზი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☐**შეესაბამება**
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

**2.4კურიკულუმისგადასინჯვადარევიზია**

**2.4.1 წლიურიმუშაობისშედეგადიქმნებაკურიკულუმისგადამუშავებულივერსია**

1. იქმნებაკურიკულუმისგანვითარებისადამხარდაჭერისსარეკომენდაციოსაჭიროებათაპაკეტი;
2. კურიკულუმისგადამუშავებულივერსიაეფუძნებაწინარეგამოცდილებასდაითვალისწინებსმონიტორინგისადაშეფასებისშედეგებს.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც კურიკულუმისგანვითარებაყოველწლიურად უნდა ხდებოდეს წინა წლის ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტით აგრეთვე განისაზღვრება განვითარების თითოეულ ეტაპზე მონაწილე მხარეების (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრის თავმჯდომარე, მასწავლებელი) საქმიანობა, რათა გაუმჯობესდეს სასწავლოპროცესი. ამასთან ერთად, სკოლა თვითშეფასების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოჯონაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დოკუმენტში აღნიშნავს, რომკურიკულუმი და სამოქმედო წლიური გეგმა შედგენილია სკოლის გამოცდილებაზე დაყრდნობით და ასახულია ძლიერი მხარეები და გამოწვევები. საბაზო საფეხურზე, კურიკულუმების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის, ყოველი ახალი სასწავლო წლის დაგეგმვისას ხორციელდება მასწავლებლების, მოსწავლეების და მშობლების ინტერესების გათვალისწინება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2.კათედრებმა, საშუალო საფეხურზე წარმოადგინეს 2023-2024 სასწავლო წლების კურიკულუმები, რომლებიც ეფუძნება წინა სასწავლო წლის გამოცდილებას. კათედრების წევრმა პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში, საბაზო საფეხურზე, განუწყვეტლივ მიმდინარეობს განვლილი სასწავლო წლის შეფასება და საჭიროებების გათვალისწინებით ხდება მომდევნო სასწავლო წლისათვის წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა და კურიკულუმების გადამუშავება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
*საბაზო საფეხურის კურიკულუმები.*
კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შემაჯამებელი ჯგუფის ოქმი;

ხარისხის უზრუნველყოფის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☐**შეესაბამება**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

**ცხრილიივსებათითოეულიკურიკულუმისთვისცალ-ცალკე**

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთაჯგუფისშეფასება**<br>*(მონიშნეთშესაბამისიუჯრასტანდარტისადაკომპონენტისშესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლოკურიკულუმი(საშუალო საფეხური)** | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმისშემუშავება | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმისგანხორციელება | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმისმონიტორინგიდაშეფასება | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |
| **კომონენტი 2.4** ავტორიზაციის<br>კურიკულუმისგადასინჯვადარევიზია | **☐შეესაბამება**<br>☐მეტწილადშეესაბამება<br>☐ნაწილობრივშეესაბამება<br>☐არშეესაბამება |

## II. ავტორიზაციისმე-2 სტანდარტთანშესაბამისობისშეფასება

### 2. სასკოლოკურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმისშემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმისშემუშავებაშიჩართულიასასკოლოსაზოგადოება

1. კურიკულუმისშემუშავებისმეთოდოლოგიაიძლევასასკოლოსაზოგადოებისინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისადაპრიორიტეტებისგათვალისწინებისშესაძლებლობას;
2. კურიკულუმშიასახულიასასკოლოსაზოგადოებისინტერესები;
3. კურიკულუმიშემუშავებულიასასკოლოსაზოგადოებისმიერ;
4. კურიკულუმიგაზიარებულიასასკოლოსაზოგადოებისმიერ.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
სკოლამ ავტორიზაციის მიმდინარეობის პერიოდში ქოუჩებთან გავლილი კონსულტაციების შედეგად შეიმუშავა საშუალო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოები, რომლებშიც გაიწერა მიმდინარე სასწავლო პროგრამა, რესურსები და აქტივობები. პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერიდა სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები. უკვე ჩატარებულ დაბანკის მიერ შემოთავაზებულ კომპლექსურ დავალებებზე დაყრდნობით შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია, რომელსაც გაეცნო სკოლის ადმინისტრაცია. კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მშობლების ინფორმირების საშუალებად მოაზრებულია სხვადასხვა საშუალება: კომპლექსური დავალების ბარათების გაგზავნა, მშობელთა კრებები და სოციალური ქსელები. მასწავლებლები ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო წლის ბოლოს აანალიზებენ მოსწავლეთა შედეგებს (შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, სასკოლო პროექტები, მშობელთა ჩართულობები), განიხილავენ მოსწავლეთა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ხ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ტიპურ საჭიროებებს, შესაძლებლობებს და გეგმავენ მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ ისინი სამომავლოდ გეგმავენ უფრო მეტად დააკვირდნენ სასკოლო საზოგადოების (მოსწავლეთა, მშობელთა...) ინტერესებს, გამოკითხვებითა და კვლევით დაადგინონ ეს საჭიროებები და შემდეგ ასახონ კურიკულუმში. შესაბამისად, ამკომპონენტშისკოლააკმაყოფილებსსტანდარტითგათვალისწინებულმოთხოვნებს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2.საშუალო საფეხურის კურიკულუმებში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებასა და დანერგვაში ნაწილობრივ გათვალისწინებულია საზოგადოების ყველა წევრის ინტერესები, შეხედულებები, საჭიროებები და მოლოდინები. ინტერვიუს პროცესში, პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმები შემუშავდა საგნობრივკათედრებზე თანამშრომლობითა და დირექციის ჩართულობით. მოსწავლის ინტერესების ასახვის მიზნით, სასწავლო თემების შერჩევის დროს, ითვალისწინებენ მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. ასევე, სკოლაში დამკვიდრებულია მშობელთა ბარათების გამოყენების პრაქტიკა კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში. მშობლები გარკვეულ უკუკავშირს იძლევიან სკოლისათვის. ასევე, სასკოლო საზოგადოების ინტერესების თანახმად, სკოლაში წარმატებით ხორციელდება გერმანული ენისსადიპლომოპროგრამა (DSD პროგრამა). შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვის გარდა, გერმანულის სწავლებას ეთმობა დამატებითი საათები. სკოლა ასევე სარგებლობს ეროვნული სასწავლო გეგმით დაშვებული ჯამური საათების 25%-იანი გადანაწილების პრინციპით, რაც ფაქტობრივად ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმის საათობრივ ბადის პროექტში. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. საშუალო საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია კათედრაზე ყველა მასწავლებლის ჩართულობით. მათ შეადგინეს ყველა კლასის ჩარჩო-კურიკულუმი, შეათანხმეს კომპლექსური დავალებების იდეები და შემაჯამებელი სამუშაობი, შეარჩიეს შეფასების ინსტრუმენტები. კურიკულუმის შემუშავებაშისაზოგადოებისსხვაწევრებს (მოსწავლეებს, მშობლებს)უშუალოდ არმიუღიათმონაწილეობა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შედგენისას გათვალისწინებულია მათი ინტერესებიც, რადგან საგნის მასწავლებლის მხრიდან დაგეგმვის პროცესი ეყრდნობათვითრეფლექსიას, ასევე მოსწავლეებისგან და მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირს. ასევე, სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა.როგორც მათ აღნიშნეს, მომდევნო სასწავლო წლისთვის კიდევ უფრო გააძლიერებენ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართვას შემუშავების პროცესში და უფრო მეტად გამოკვეთენ მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს სწავლა-სწავლების პროცესში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

4. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარებისათვის საბაზო საფეხურის მასწავლებლები იყენებენ მშობლებთან პირისპირ შეხვედრებს, მშობელთა კრებებს, სოციალურ ქსელებს (სკოლის ფეისბუქ გვერდსა და ჯგუფების სასაუბროებს). მომავალ ისასწავლო წლიდან გეგმავენ გააქტიუროს მოსწავლეებთან და მშობლებთან სათანადო კომუნიკაცია და ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა. კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების შესახებ ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მათი მშობლები. მათ ინტენსიურად მიეწოდებათ ინფორმაცია კურიკულუმით დაგეგმილი აქტივობების შესახებ სხვადასხვა ფორმით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პროცესზე ორიენტირებულ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლური პროცესია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას: შემუშავებას დამათ გაზიარებას საკლასო კრებებზე, ფეისბუკგვერდზე, სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლობით ჯგუფში, რასაც ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. შესაბამისად, ამ კომპონენტში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**ინდიკატორი დკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

*საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა-2022-2024წწ.

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

სასკოლო-სასწავლო გეგმა 2023-2024წწ.

ნებართვა საათობრივი ბადის დამტკიცების შესახებ;

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

განმარტებითი ბარათი-გერმანული ენის გაძლიერებული სწავლება;

სკოლის განვითარების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა 2022-2023წწ.

სკოლის განვითარების ერთწლიანი პროგრამა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

სკოლის განვითარების შვიდწლიანი პროგრამა;

**2.1.2. კურიკულუმიეფუძნებაეროვნულისასწავლოგეგმისსაგნობრივისტანდარტებისდამეთოდურიორიენტირებისმოთხოვნებს**

1. შემუშავებულიკურიკულუმი/ებიწარმოადგენსმოსწავლეზეორიენტირებულიპროცესისდაგეგმვისადაგანვითარებისგზას;
2. კურიკულუმებიმიემართებაეროვნულისასწავლოგეგმითგანსაზღვრულგრძელვადიანმიზნებს (გლობალურიფუნქციურიუნარები (6 უნარი), მაკროცნებები, სამიზნეცნებებიდაშედეგები);
3. სასწავლოპროცესიითვალისწინებსდიფერენცირებულ/ინკლუზიურმიდგომებს;
4. განმსაზღვრელიდაგანმავითარებელიშეფასებამიემართებაგრძელვადიანმიზნებსადამეთოდიკურორიენტირებს;
5. დაგეგმვისპროცესშიგათვალისწინებულიაწინარეგამოცდილებისანალიზი.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი, საგნების კურიკულუმები ორიენტირებულია საშუალო საფეხურისა და შესაბამისი საგნის სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებსა (სამიზნე ცნებებსა) და საფეხურის მისაღწევ შედეგებზე. სასწავლო თემები შეესაბამება სტანდარტის სავალდებულო თემატურ ბლოკებს; ითვალისწინებს საფეხურის ინტერესებსა და ასაკობრივ თავისებურებებს. შუალედურ მიზნებად გამოყენებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინებით არის შერჩეული და ითვალისწინებს მრავალი საინტერესო პროდუქტის შექმნას. კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ყურადღებას უშუალოდ სწავლის პროცესზე ამახვილებს, რომელიც შეესაბამება სამგანზომილებიანი კურიკულუმის მეთოდიკურ ორიენტირებს; მოსწავლეს აძლევს ავტონომიურობის განცდას, ხელსუწყობს მისი შინაგანი ძალების გააქტიურებასა და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას. კათედრის მიერ ნიმუშის სახით მოწოდებულია მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკები, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება მიიღონ სრული ინფორმაცია შესრულებული აქტივობების შესახებ.გამომდინარე აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კომპლექსური ბუნების დავალებების გამოყენებით, სკოლა ცოდნის აგების, კონსტრუქტივისტულიმ იდგომის დანერგვას უწყობს ხელს; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში გაწერილია გრძელვადიანი მიზნები, რომელსაც აზუსტებს და მკაფიოს ხდის ცნებასთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და საფეხურის საკვანძო შეკითხვები. თემები შერჩეულია სკოლის ინფრასტრუქტურისა და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. ყველა თემაში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოკაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

კურიკულუმებში შეტანილი კომპლექსური დავალების იდეები მიმართულია გლობალურ-ფუნქციური უნარების, მაკროცნებებისა და სამიზნე ცნებების დამუშავებაზე. ხშირად კომპლექსური დავალების პირობის თანახმად, მოსწავლეებს მოეთხოვებათ პრეზენტაციის ან პოსტერის წარმოდგენა. შუალედურ მიზნად განსაზღვრულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც პოზიტიურ სასწავლო გარემოს ქმნის და იწვევს ყველა იმ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ აქვთ საკმაოდ კარგი გამოცდილება იმისთვის, რომ მოსწავლეებს შესთავაზონ ისეთი ტიპის დავალებები, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, გუნდურობას, კომუნიკაციას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3.. წარმოდგენილი თემატური ერთეულების, ინდ. გეგმებისა და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების გაცნობის საფუძველზე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. გასაუბრებებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დავალებებისა და აქტივობების დაგეგმვისას ინტენსიურად თანამშრომლობენ სპეციალურ მასწავლებელთან, რათა სასწავლო გარემო და რესურსები მეტად მოქნილი და ინკლუზიური გახადონ, აქვთ გამოცდილება, რომ ცალკეული მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით წარმართონ სამომავლოდ კურიკულუმის ადაპტირება. სკოლა მიზნად აქვს დასახული უზრუნველყოს თანაბარ ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი ყველა მოსწავლისთვის, რაც თავის მხრივ ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებას გულისხმობს.
სკოლა 2021-2022 სასწავლო წლიდან ჩართულია USAID საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგებითა და სამუშაო შეხვედრებით მასწავლებლებმა უკეთ გაიაზრეს დიფერენცირების არსი და მისი პრაქტიკაში გადმოტანა.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4.. სკოლა წარმოდგენილი 2023-2024 სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლის შეფასების მნიშვნელოვან მიზნად სწავლა სწავლების ხარისხის მართვას გეგმავს, რაც თავის მხრივ სწავლის ხარისხის განვითარებაზე ზრუნვას და სწავლა სწავლების ხარისხის მონიტორინგს გულისხმობს. შესაბამისად სკოლა განსაზღვრავს მოსწავლის შეფასების ამოცანებს. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ დაგეგმვისპროცესშიითვალისწინებენ წინარეგამოცდილებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლისთვის, მოსწავლეები შეფასდებიან, როგორც მიმდინარე, ისე შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. მასწავლებლები ყველა საფეხურზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი რუბრიკები სხვადასხვა

საგანში. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მასწავლებლები სრულად ფლობენ შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და შესაბამისი რუბრიკების შექმნის სტრატეგიებს. გაწერილია, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც აჩვენებენ როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი, მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ახდენს გრძელვადიან სასწავლო მიზნებთან მიმართებით მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

5. კათედრების მიერ, არსებული გამოცდილების, თანამშრომლობისა და ერთობლივი ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია შუალედური მიზნები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილების ანალიზს და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, ითვალისწინებენ სწავლა სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას, გამოწვევებს, ანალიზის შედეგებს, მშობლებთან კონსულტირებას. ინფორმაციის მოგროვება სხვადსხვა წყაროზე დაყრდნობით იქნა გათვალისწინებული სასკოლო თუ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას. ასევე მასწავლებლებთან ინტევიუს დროს გამოიკვეთა, რომ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები, სადიაგნოსტიკო წერები, SOLO ტაქსონომიის მიხედვით შეფასებული კომპლექსური დავალებები, რეფლექსიის, თვითრეფლექსიის, მოსწავლეთა ნაშრომების ანალიზის საფუძველზე მოხდა ცვლილებების შეტანა საგნობრივ კურიკულუმებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
კურიკულუმის ჩარჩოები და დავალების მატრიცები
შეფასების რუბრიკები;
ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
სსსმ მოსწავლეებისთვის მოდიფიცირებული მატრიცები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

**☐შეესაბამება**
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

### 2.2. კურიკულუმისგანხორციელება

#### 2.2.1. სასწავლოპროცესიეფუძნებასწავლასწავლებისკონსტრუქტივისტულპრინციპებს

1. სასწავლოპროცესიიძლევამოსწავლისაქტიურშემოქმედებითპროცესშიჩართულობისშესაძლებლობას;
2. ახალიცოდნისკონსტრუირებახორციელდებაწინარეცოდნაზედაფუძნებით;
3. სასწავლოპროცესშიაქცენტიკეთდებასწავლისსწავლაზე;
4. სასწავლოპროცესიორიენტირებულიაცოდნისსამკატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურულიდაპირობისეული);
5. სასწავლოპროცესშიუზრუნველყოფილიამოსწავლეთაცოდნათაორგანიზებადაურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. წარმოდგენილი კურიკულუმებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა რომ სკოლა რამდენიმე წელია ჩართულია ახალი სკოლის მოდელში და დაწყებით საფეხურზე წარმატებით ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მრავალადაა იმგვარი ტიპის მასალა, სადაც ჩანს მოსწავლეთა ჩართულობა სხვადასხვა შემოქმედებითი აქტივობის განხორციელებისას. მასწავლებლები სისტემატიურად გეგმავენ სხვადახვა სახის პროექტებს, რომლის ფარგლებშიც ამზადებენ პრეზენტაციებს, აწყობენ გამოფენებს, დადიან ექსკურსიაზე მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ და ეროვნულ კონფერენციებში, ოლიმპიადებში. აქტიურად არიან ჩართულები არაფორმალურ განათლებაში. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა

შემოქმედებით პროცესებში ჩართვას, ამაზე მეტყველებს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. (ფოტო და ვიდეო მასალა, ექსკურსიის გეგმა და აღწერილობა, სერტიფიკატები, პროექტის გეგმები). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით, თითოეულ სემესტრში დაგეგმილია 1 ან 2 კომპლექსური ტიპის დავალებები საბაზო საფეხურზე. კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რადგან საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია თემატურად, ხოლო თემატური დაგეგმვა წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ განახორციელონ ისეთი კომპლექსური დავალებები, სადაც გათვალისწინებული იქნება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი. ასევე, გეგმავენ პროექტებს, აქტივობებს და სასწავლო პროცესი დატვირთული იქნებამოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტებით, რაც სასკოლო ცხოვრებას უფრო ეფექტურს და მოტივირებულს გახდის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და მასწვლებელებთა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან სტრატეგიებს, ხელსუწყობენმოსწავლისრეფლექსიას, სთავაზობენ მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობის და მათ გამოცდილებაზე მორგებულ აქტივობებს კომპლექსური დავალებების და პროექტების დახმარებით. წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, კონფერენციაში მონაწილეების სერტიფიკატები და სიგელები. მასწავლებელთა ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რომ აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენონ თვითშეფასების რუბრიკები, მეტაკოგნიტური სქემები, დიაგრამები, რითიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებასა და დამუშავებას, პრეზენტაციას, მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარებას. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მიღწევის, ათვისების პროცესებს და შეუძლიათ შეცვალონ, ან მოდიფიცირება გაუკეთონ სასწავლო მეთოდებს მეტი შედეგის მისაღწევად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4.. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლა რამდენიმე წელია ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც თავისთავად შედგება ეტაპებისგან და მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის მიხედვითაა შემუშავებული. ეს მეტყველებს იმაზე რომ, სასწავლო პროცესში ხელი ეწყობა მოსწავლის მრავალმხრივი უნარების და ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებას. საგნობრივ კურიკულუმებშიმითითებულია რესურსებად ის ძირითადი და დამხმარე მასალა (მრავალფეროვანი ვიდეო, აუდიო და სხვადასხვა თვალსაჩინოებები), რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის სხვადასხვა მეთოდით მიღებას და გააზრებას. ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებას ასევე ხელს უწყობს პრობლემაზე დაფუძნებული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დავალებებისა და აქტივობების განხორციელება, რაც კარგად ჩანს სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა საინტერესო აქტივობებში (პროექტზე მუშაობის, კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელების ეტაპები). მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა, რომ მოსწავლეებმა განახორციელონ ისეთი ტიპის კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები, რაც საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ შესწავლას და შემდგომ მის ტრანსფერს უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

5. წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე, რომელიც მოიცავს კომპლექსური ტიპის აქტივობებს, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საკითხების, საგნების ინტეგრირება და მათი დაკავშირება მოსწავლის ყოველდღიურობასთან. მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ პროექტებში. გეგმავენ ექსკურსიებს, წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ეროვნულ თუ საერთაშორისო კონფერენციებში. მართავენ გამოფენებს. სკოლასგააზრებულიაქვს, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოსწავლის ცოდნათა გაერთიანება, თავმოყრა და გამოყენება, ამისთვის კათედრებზე სასწავლო წლის დასაწყისში თემატურად იგეგმება მასალა, რომელიც მოიცავს იმგვარ აქტივობებს, რაც მოსწავლეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 წწ.

დოკუმენტი 12 (სხვადასხვა საგნობრივ ჭრილში)

შეფასებების რუბრიკები

კომპლექსური დავალებები

კონფერენციები

**2.2.2.სასწავლოპროცესიეფუძნებასაგნობრივისტანდარტებითგათვალისწინებულგრძელვადიანმიზნებს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჰ. ჰოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სასწავლოპროცესიუზრუნველყოფსსამიზნეცნებისდამისიმკვიდრიწარმოდგენებისგათავისებასსაგნობრივსაკითხებზედაყრდნობით;
2. საგნობრივიკონტექსტებიემსახურებამოსწავლისპიროვნულდაფსიქო-სოციალურგანვითარებას;
3. შეფასებისსისტემაორიენტირებულიამოსწავლისჰოლისტურიგანვითარებისმხარდაჭერაზე;
4. შეფასებისსისტემაარისვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაშიფუნქციონირებისშეფასებისსისტემისვერიფიკაციისმექანიზმი;
6. სკოლაუზრუნველყოფსშეფასებასთანდაკავშირებულიმონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებებისსათანადოაღრიცხვასადა შენახვასარანაკლებ 3 წლისვადით.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რომლებიც სავალდებულო თემების ფარგლებში მოცემული საკითხების მიხედვით მიემართება სასწავლო პროცესებისკენ. სამიზნე ცნებებს აზუსტებს ქვეცნებები, რომელთა საშუალებით დაზუსტებულია კონკრეტული საკითხები და ქვესაკითხები. შესაბამისი კავშირი ჩანს სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, საგნობრივ საკითხსა და რესურსებს შორის. ყოველივე ეს ეხმარება მოსწავლეს თეორიული ცოდნა ასახოს ცხოვრებისეულ კონტექსტში და შექმნას კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს საშუალო საფეხურზე ჩატარებული სხვადასხვა სახის აქტივობების, პროექტების შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2.საშუალო საფეხურის კურუკულუმებისა და კათედრაზე მასწავლებელთა გასაუბრებამ ცხადყო, რომ სავალდებულო თემების ფარგლებში საგნობრივი საკითხები შერჩეული იქნა მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესების, საჭიროებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. საგნობრივი კონტექსტების ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რის საფუძველზეც მოსწავლეს აქვს საშუალება შეაფასონ საკუთარი ქცევა, დადებითად თუ უარყოფითად, გამოხატონ მისი ემოცია, შეგრძნება მასაწავლებელთან და თანატოლებთან ურთიერთობისას. ასევე, მოსწავლეთა პიროვნების ჩამოყალიბებასა და მათ განვითარებაზე მოწმობს სხვადასხვა სახის პროექტები, გაცვლითი პროგრამები რომლებსაც სხვადასხვა საგნის კათედრები გეგმავენ და ახორციელებენ.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ნ. ხოდონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მიზანს ემსახურება თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები, სასწავლო პროცესში გამოიყენებენ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს და აპირებს მომავალი სასწავლო წლისთვის სასკოლო საზოგადოების გამოკითხვაზე დაყრდნობით გადაიხედოს შეფასების არსებული მოდელი. კათედრებზე შემუშავებულია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორიცაა: პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა; ესეს შეფასების რუბრიკა; თვითშეფასების რუბრიკა. განმავითარებელი შეფასება ძირითადად ხორციელდება სიტყვიერი ფორმით, ზეპირი უკუკავშირით. ახალ ჩარჩოზე მუშაობისას ქოუჩინგის დროს მოხდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკების ნიმუშების შექმნა. მომავალი კურიკულუმის შემუშავებისას კათედრების შეხვედრებზე წევრები ისაუბრებენ კლასებში განხორციელებული კომპლექსური დავალებების შედეგებზე, სირთულეებსა და მათი გადაჭრის გზებზე. ანალიზის საფუძველზე მოხდება დავალებების სახეცვლილება და მასწავლებელთა საჭიროებების დადგენა. დიაგნოსტიკურ შეფასებას სკოლა ამჟამად ახორციელებს გერმანულ ენასა და მათემატიკაში მხოლოდ მე-6 კლასის მაგალითზე.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4.კათედრასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, სასწავლო პროცესში მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, ხდება მათი ნამუშევრების ანალიზი, მასწავლებლები გასცემენ რეკომენდაციებს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურიდა სამართლიანი. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის წესი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

5.სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. სსიპ ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ვერიფიკაცია არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას. მოსწავლის შეფასებისას გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელსაც ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

6. სკოლა არა ნაკლებ 3 წლის ვადით უზრუნველყოფს როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად წარმოებულ დოკუმენტაციის შენახვას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოყაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
რესურსი 12;
ინტერვიუ.
შეფასებს რუბრიკები.
მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი.

**2.2.3. სასწავლოპროცესიეფუძნებაზრუნვასადამხარდაჭერას**

1. სასწავლოპროცესშიშექმნილიამხარდამჭერიდამიმღებლობითიგარემო;
2. სასწავლოპროცესიწარიმართებამოსწავლეზეორიენტირებულად;
5. სასწავლოპროცესიეფუძნებათანამშრომლობითკულტურასადაკომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილიაპოზიტიურიკლიმატისკოლისადაკლასისდონეზე.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სსიპ - ქალაქ თელავის N9 საჯარო სკოლის სასწავლო პროცესი ხორციელდება პოზიტიურ, თანამშრომლობით და დემოკრატიულ გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე. სკოლაში დაგეგმილი ხელშემწყობი აქტივობების დებულებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლაში შექმნილია ტოლერანტული და თანასწორი გარემო, რაც განაპირობებს მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან ინიციატივების მიღებას, დაფასებას, განხორციელებასა და გაუმჯობესებას. აქტიურად ხორციელდება მოსწავლეებისთვის საინტერესო პროექტები, წრეები/კლუბები, სადამრიგებლო პროგრამა, ინკლუზიური განათლების პროგრამა, კომპლექსური დავალებები. ეს ყველაფერი უზრუნველყოფილია სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსებით (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული ინფრასტრუქტურა და სხვა). სკოლა აქტიურად მონაწილეობს არაფორმალური განათლების საგნობრივ პროგრამებში. სკოლაში არის კეთილგანწყობილი, თანამშრომლობაზე აგებული ატმოსფერო.
კათედრის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს გუნდური მუშაობის პრინციპს, რაც მოსწავლისგან მოითხოვს თანამშრომლობის, ჯგუფში მუშაობის მზაობის, კომუნიკაციის, პასუხისმგებლობის და სხვა ღირებულებების გამოვლენას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ხოლონაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა გასაუბრებიდან ჩანს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის ზრდაზე. მასწავლებელთა მიერ შემუშავებულია კურიკულუმები, დაგეგმილია არაფორმალური აქტივობები და პედაგოგების სადამრიგებლო პროგრამები. სასწავლო პროცესში გამოყენებულია დიფერენცირებული სწავლების მეთოდები და მიდგომები, სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია შესაბამისი სასწავლო გარემო რესურს ოთახის და ინდივიდუალური გეგმების სახით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეების ინტერესებზე მორგებულ და მათზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებას. სკოლას შემუშავებული აქვს ყველა კლასის კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება და მოდიფიცირებული სწავლების მეთოდის აქტიურად გამოყენება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო გარემო, ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში დამკვიდრებული გამოცდილება პედაგოგების თანამშრომლობის სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან. ხშირად მიმდინარეობს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, რაც სასწავლო პროცესში თანამშრომლობით წარმატებების მიღწევისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიების წინაპირობაა.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). მშობლები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.
ინტერვიუს შედეგადაც გამოვლინდა, რომ კათედრის წევრებს მჭიდრო თანამშრომლობა და კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, რაც აისახა მათ მიერ წარმოდგენილ განხორციელებულ პროექტებში. სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.სკოლა აქტიურად ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს რომლებიც მოითხოვს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართვას. თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზციებთან, თვითმმართველობასთან ერთად გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს.სკოლის ავტორიზაციის პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა დაესწრონ სკოლის საშუალო საფეხურზე ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებასა და სპორტულ ფესტივალებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომნაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე, რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში, კერძოდ: შეფასების სისტემა, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად; ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ, სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს. თუმცაღა არსებობს რიგი საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს და ამისათვის სრული მზაობაა. ამ მიმართულებით აქტივობების დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეების, მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების გამოცდილებას. სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების ფარგლებში ჩატარებული კმაყოფილების კვლევის ანალიზიდან გამომდინარე, სკოლაში იგეგმება დამატებითი გამოკითხვის ჩატარება და მიღებული შედეგების საფუძველზე შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება პოზიტიური კლიმატის სათანადოდ გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
სასკოლო გეგმა;
თვითშეფასების დოკუმენტი.
კურიკულუმები;
კომპლექსური დავალებები;
კათედრის სხდომის ოქმი;
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები;
პროექტები, ფოტომასალა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ს. სოლომონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**☐შეესაბამება**
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

2.3. კურიკულუმისმონიტორინგიდაშეფასება

**2.3.1 მიმდინარეპროცესებისმონიტორინგიდაშეფასებაწარმოადგენსსასწავლოპროცესისთანმდევგანუყოფელნაწილს**

1. მონიტორინგიდაშეფასებახორციელდებაკურიკულუმითგანსაზღვრულიმეთოდოლოგიისშესაბამისად;
2. მონიტორინგიდაშეფასებაემსახურებასასკოლოსაზოგადოებისწევრებისმხარდაჭერასადადახმარებას;
3. მონიტორინგიდაშეფასებაგანსაზღვრავსპრობლემისგადაჭრისგზას/საშუალებას.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით (ვადები, ინსტრუმენტები) და წარიმართება სამი მიმართულებით:
- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;
- სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრისთვის);
- სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

2. კათედრის წევრებთან გასაუბრებამ გამოავლინა შემდეგი, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ აღქმული და გათავისებული მონიტორინგის წარმოების მნიშვნელობა, ისინი იაზრებენ რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ....
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

და დახმარებას.სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერისჯგუფი, მათი მუშაობის პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. სკოლაში მიმდინარეობს მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის, საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარებისათვის. პედაგოგები თანამშრომლობენ როგორც კათედრის ფარგლებში, ასევე მომიჯნავე კათედრებთან - ესწრებიან გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

3. კათედრის წევრებთან შეხვედრისას და მათთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ პედაგოგები ხვდებიან შეფასებისა და მონიტორინგის აუცილებლობას, ამით ისინი ადგენენ და ახდენენ არსებული პრობლემის იდენტიფიცირებას და ფიქრობენ, შეიმუშავებენ და განსაზღვრავენ არსებული პრობლემების გზებს თუ საშუალებებს. მიღებული შედეგების გათვალისწინებით კათედრებზე იქმნება ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. კოლეგების ურთიერთდასწრება ეფუძნება მასწავლებლის საჭიროებებს და მისი სირთულეების გადაჭრის გზებს. კოლეგები ერთმანეთს აძლევდნენ ზეპირ კონსტრუქციულ უკუკავშირს. ახალი სასწავლო წლიდან მოხდება ურთიერთდასწრების და მონიტორინგის ჯგუფის დასწრების რუბრიკები და შეივსება მასწავლებლის რეფლექსიის ფორმები, რომელთა გაცნობის შემდეგ მასწავლებელს მიეცემა წერილობითი უკუკავშირი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

კათედრის წევრებთან გასაუბრება;

ინტერვიუ.

ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის შემაჯამებელი სხდომის ოქმი.

**2.3.2. სასწავლოპროცესისშეფასებაატარებსჰოლისტურხასიათს**

1. შეფასებაეყრდნობამრავალფეროვანწყაროებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. შეფასებახორციელდებამრავალიკონტექსტისგათვალისწინებით;
3. შეფასებისასგამოყენებულიამონაცემთაშეგროვებისმრავალფეროვანიმეთოდები;
4. შეფასებახორციელდებასხვადასხვაფაქტორისგათვალისწინებით.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები ყველა საგნობრივ კათედრაზე, ასევე კომპლექსური დავალებების შესაბამისად შექმნილი განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც სამიზნე ცნებების და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გააქტიურებას ისახავს მიზნად. წარმოდგენილია ცალკეულ საგნებში გაკვეთილის გეგმები რეფლექსიებთან ერთად, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები, პროექტის შეფასების რუბრიკები, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევები. პედაგოგებმა საუბრისას აღნიშნეს,რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებს. შემაჯამებელი დავალების დასრულების ბოლოს მასწავლებელი აკეთებს რეფლექსიას და ახდენს დავალების შეფასებას, რასაც უზიარებს კოლეგებს კათედრაზე და ცდილობენ ერთად იპოვონ სწავლების ხარვეზები. პედაგოგები მუდმივად ახდენენ ზემოთხსენებული დოკუმენტაციების დახმარებით მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების და პროცესების შეფასებას. მათი მიღწევების და შედეგების გაზომვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალიწინებით. ეს გულისხმობს კონკრეტული სიტუაციის გაანალიზებასა და სპეციფიკური გარემოებების გათვალიწინებას, რომელსაც შესაძლოა ემოქმედა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე. ამას მოწმობს შემაჯამებელი დავალებების ანგარიშები, პროექტები, ისგ გეგმები, სხვადასხვა კათედრების მიერ შემუშავებული ოქმები. პედაგოგებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის შეფასებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია პედაგოგებთან ერთად ადმინისტრაციას. ადმინისტრაცია ითვალისწინებს პედაგოგების მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და მასწავლებლებთან ერთად გეგმავს პროცესის გაუმჯობებსების გზებს.
**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**
3. სკოლაში არსებობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი გამოცდილება. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა შეფასების შედეგების ანალიზი, დაკვირვებისა და ჩანაწერების წარმოება,გაკვეთილზე დასწრების ფორმა და მასწავლებლის რეფლექსია, შემაჯამებლების ანალიზი, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვითშეფასება. დოკუმენტი 12 -ის მიხედვით კათედრები გეგმავენ დიაგნოსტიკური ტესტირებების ჩატარებასაც. აღნიშნული დოკუმენტაცია სკოლას წარმოდგენილი აქვს და დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჰ. ხოლონაია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შეგვიძლია დავასკვნათ რომ სკოლას ამ კუთხით გააჩნია გამოცდილება, ცოდნა და უნარი რომ შეფასებისას გამოიყენოს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

4. პედაგოგებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლა შეფასების პროცესში ითვალიწინებს სხვდასხვა ფაქტორს, რომელიც გულისხმობს სასწავლო წლის დასაწყისში მისაღწევი შედეგებისა და აღნიშნული შედეგების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობების ხელისშემშლელი/ხელისშემწყობი ფაქტორების გაანალიზებას. (ასაკი, მოსწავლეთა შესაძლებლობები, საჭიროებები, ინტერესები, თემების და საკითხების სირთულე და სხვ) აღნიშნულის განხილვისა და გაანალიზების შემდეგ პედაგოგები მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების მიხედვით გეგმავენ სასწავლო წელს დაისახავენ ისეთი მიზნებს, რომელთა მიღწევასაც შეძლებენ. შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლის აკადემიური დონე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში და მისი შეფასებისას მეტად გაითვალისწინებენ ზემოთაღნიშულ ფაქტორებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*
საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 წწ.
დოკუმენტი 12
სსსმ გეგმები
კომპლექსური დავალებები
შეფასების რუბრიკები
გაკვეთილზე დასწრების ფორმა
შემაჯამებლების ანალიზი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☐შეესაბამება
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

2.4კურიკულუმისგადასინჯვადარევიზია
2.4.1 წლიურიმუშაობისშედეგადიქმნებაკურიკულუმისგადამუშავებულივერსია

1. იქმნებაკურიკულუმისგანვითარებისადამხარდაჭერისსარეკომენდაციოსაჭიროებათაპაკეტი;
2. კურიკულუმისგადამუშავებულივერსიაეფუძნებაწინარეგამოცდილებასდაითვალისწინებსმონიტორინგისადაშეფასებისშედეგებს.

**ინდიკატორისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი**:

1. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის განვითარება ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს წინა წლის ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტით აგრეთვეგანისაზღვრება განვითარებისთითოეულეტაპზემონაწილემხარეების(დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრის თავმჯდომარე, მასწავლებელი) საქმიანობა, რათა გაუმჯობესდეს სასწავლოპროცესი. ამასთან ერთად, სკოლა თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ შესამუშავებელი აქვს მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მექანიზმების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომელშიც გაერთიანდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის და გათვალისწინებულიიქნებადაგროვილიგამოცდილება, სვოტ ანალიზი, ჩატარებულიგაკვეთილის, კომპლექსური დავალების, განხორციელებულიპროექტის რეფლექსიები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**
2.კათედრებმა, საშუალო საფეხურზე წარმოადგინეს 2023-2024 სასწავლო წლების კურიკულუმები, რომლებიც ეფუძნება წინა სასწავლო წლის გამოცდილებას. სკოლაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს განვლილი სასწავლო წლის შეფასება და საჭიროებების გათვალისწინებით იგეგმება მომდევნო სასწავლო წლის წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა და კურიკულუმების გადამუშავება. კურიკულუმების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, საგნობრივიკათედრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ჩ. ჩოლოხაია
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორებისმტკიცებულებები.*

*საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*

კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფისშემაჯამებელი ჯგუფის ოქმი;
ხარისხის უზრუნველყოფის დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

**☐შეესაბამება**
☐მეტწილადშეესაბამება
☐ნაწილობრივშეესაბამება
☐არშეესაბამება

## ნაწილიV. თანდართულიდოკუმენტაცია

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა**

რაინდი როდონაია 

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

ნინო კაშია

ნინო გოგორელიანი

თინათინ ნანობაშვილი

ელენე ხუსკივაძე

თამარ წულუკიძე

მარინე ჩიტაძე

ინგა დარსაველიძე

სერგო დურგლიშვილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

მურადი ფახურიძე

შორენა კაკაბაძე

27.11.2023 წელი.
თარიღი